# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 27 აპრილი. 2023 წ. №47 (9579) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


# „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“!..



იური პაპასქუა:

## შორია ევროპიდან ევროკავშირამდე?!

იხ. 4 გვ.

ზაზა პაპუაშვილი:

## ჩემს ქვეყანაში არ დაინომრება მშობლები, არ შეურაცხვყოფთ ღვინოს, ეკლესიას, რწმენას!..



„მოვდივარ“! „არა ომს – მშვიდობა ჩვენს ქვეყანას“, – ამ გზავნილების ადრესატები პოლიტიკური სპექტრი და არასამთავრობო ორგანიზაციები იქნებიან. 30 აპრილს რუსთაველის გამზირზე სამოქალაქო საზოგადოება აქციას მართავს. როგორც მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი, მსახიობი ზაზა პაპუაშვილი აცხადებს, საზოგადოებამ ხმამაღლა უნდა თქვას, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მოხდება საქართველოში არანაირი მაიდანი, არანაირი რევოლუცია, არანაირი მეორე ფრონტი და სამოქალაქო დაპირისპირება. მისი თქმით, დროა ავანსცენაზე, მთავარ როლში საზოგადოება გამოვიდეს და დაიბრუნოს თავისი ღირსეული ადგილი, უნარი, შნო, თავისი მორალური და ზნეობრივი საყრდენებით, რადგან არ შეიძლება საზოგადოების აზრი მუდმივად უგულებელყოფილი იყოს.

იხ. 4 გვ.

**თუ შენ ყველაფერ ამას პატივს არ სცემ, მაშინ რა საერთო გვაქვს?**

სიყვარულს საზღვრები არა აქვს...

## ჰეიდარ ალიევის ერთგული თანამეცხედრე

**აკადემიკოსი ზარიფა ალიევა**



იხ. 6-7 გვ.

პეტრე მამრაძე:



საკაშვილის გარეშე ისევ ნულები არიან!.. სააკაშვილმა კი სულ გააფრინა!..

## კეზერაშვილის გავლენების გათვალისწინებით, გამოძიებას მისთვის ბრალის წაყენება გაუჭირდება



ზაზა შათირიშვილი:

## გმადლობთ, ამერიკელებო!

2



5

## სინოდის ზოგიერთი წევრი ისევ ქურში ზის!

საქართველო – მწერლის მზის კარავი

## სისხლით ნაქსოვი სიყვარულის მემატიანე

**გურამ ბათიაშვილი**




იხ. 7 გვ.

№47. ხუთშაბათი, 27 აპრილი, 2023 წელი.



## ზაზა შათირიშვილი: გმადლობთ, ამერიკელებო!

„როგორც ცნობილია, სოციოლოგიური კვლევები არა იმდენად საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, რამდენადაც მისი ფორმირების ინსტრუმენტია. აქედან გამომდინარე, ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გაყალბებული კვლევის შედეგები სწორედ ამ პრიზმაში უნდა გაანალიზდეს. კერძოდ, მორიგი გაყალბებული კვლევა გვაძლევს იმის დადგენის საშუალებას, თუ რა მიზნები ამოძრავებთ ამერიკელებს საქართველოს მიმართ მომდევნო ორი წლის განმავლობაში“, – ამის შესახებ ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

„ამ თვალსაზრისით, რამდენიმე დასკვნაა ყველაზე საინტერესო:

– პარტიების გაყალბებული რეიტინგებიდან ნათლად ჩანს, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის ამერიკელები არჩევნების დელეგიტიმაციის ისეთივე აქტიურ კამპანიას ააგორებენ, როგორც ეს 2020 წელს გააკეთეს. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ 2024 წელს ამერიკელები კოლექტიური ნაცმოძრაობის მორიგ მარცხთან შეგუებას არ აპირებენ და ხალხის ნების წინააღმდეგ ხელისუფლების ცვლილებას კიდევ ერთხელ ეცდებიან;

– პოლიტიკოსების გაყალბებული რეიტინგებიდან ჩანს, რომ ამერიკელები ნაცმოძრაობის გამაგრებას ფსევდოშუაშისტური პოლიტიკური ძალით შეეცდებიან. ხოშტარიას, გახარიას, ვაშაძის და სხვა ურეიტინგო პოლიტიკოსების რეიტინგების გაყალბება სწორედ ამას ემსახურება;

– ამერიკელებმა ეკლესიის რეიტინგიც გააყალბეს და მეორე ადგილზე გაიყვანეს. აქედან ჩანს, რომ ანტიეკლესიური კამპანია, რომელსაც ამერიკელები ძირითადად ენჯეოებისა და ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიების მეშვეობით აწარმოებენ, მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება;

– რუსეთის მოქალაქეების საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებული შედეგების გაყალბება იმის მაუწყებელია, რომ წინა სამივე ქსენოფობიური კამპანიის ავტორები სწორედ ამერიკელები იყვნენ და ამგვარ ქსენოფობიურ კამპანიებს ისინი სამომავლოდაც დაგეგმავენ;

– სააკაშვილის განთავისუფლების შესახებ გაყალბებული მონაცემები იმის მაუწყებელია, რომ „ფრიმიშას“ კამპანიას ამერიკელები მალე განაახლებენ და ამ გზით ქვეყანაში ვითარების არევას კიდევ ერთხელ ეცდებიან;

– ბოლოს, აგენტების კანონთან დაკავშირებული მონაცემების გაყალბება ერთ რამეს მოწმობს - ამერიკელებს ძალზე აღიზიანებთ ხელისუფლების მესიჯი იმის შესახებ, რომ ამ კანონმა თავის მიზანს უკვე მიაღწია. არადა, ფაქტია, რომ კანონპროექტმა უცხოელ აგენტებს თავისი სახელი დაარქვა და ამერიკელების მიერ 2024 წლისთვის მომზადებულ რევოლუციურ სცენარს წინასწარ საკმაოდ სერიოზული დარტყმა მიაყენა.

მადლობას ვუხდი ამერიკელებს იმისათვის, რომ სოციოლოგიური კვლევის გაყალბებით მათ საკუთარი გეგმების შესახებ დეტალური ინფორმაცია გაგვიზიარეს. საზოგადოებას ვურჩევ, ყველაფერს ამ თვალით შეხედონ და კვლევის მორიგ გაყალბებაზე ნურც ისინი გაბრაზდებიან...“



## კახა კალაძე: ჩვენ ვიმსახურებთ კანდიდატის სტატუსს!

თბილისის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, **კახა კალაძემ** რამდენიმე განცხადება გააკეთა და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრიუსელში ვიზიტი შეაფასა.

**– „მინდა, გამოვეხმაურო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მნიშვნელოვან ვიზიტს ბრიუსელში, სადაც ძალიან საინტერესო შეხვედრები გაიმართა, როგორც ევროპულ საბჭოში, ისე ნატოს ოფისში. მოვისმინეთ მკაფიო განცხადებები იმ პროგრესზე და პოზიტიურ ნაბიჯებზე, რაც საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე გადადგა. ევროინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა თვალსაჩინოა და ეს ყველამ კარგად იცის. ძალიან ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიმსახურებდით და დღესაც ვიმსახურებთ კანდიდატის სტატუსს, თუმცა მოგვცეს 12-პუნქტიანი გეგმა, რომელიც უნდა შესრულდეს. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ მიმართულებით ყველა ნაბიჯი გადაიდგას“.**

* * *

**თბილისის მერმა ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტალში მდებარე №9 კორპუსი, რომელიც ოთხსართულიანი ავარიული შენობაა, ახალი, ათსართულიანი შენობა-ნაგებობით ჩანაცვლდება.**

შენობის მწვავე ავარიულობიდან გამომდინარე არსებული საფრთხეების გამო, ადგილობრივი მცხოვრებლები მერიას ქირით ჰყავს გაყვანილი. კახა კალაძემ ასევე, იმ სირთულეებზე ისაუბრა, რომელიც პროექტის განხორციელების შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს.

**„გვაქვს სურვილი და შესაძლებლობა, უფრო მეტი საცხოვრებელი კორპუსის ჩანაცვლება განხორციელდეს, თუმცა არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი მოსახლეობა დამატებით ფართებს ითხოვს. მაგალითად, 100 კვადრატულში ცხოვრობენ, თუმცა 15-20-30 კვადრატული მეტრით მეტ ფართს ითხოვენ, რისი უფლებაც არ გვაქვს. ეს კი პროექტის განხორციელებას აბრკოლებს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: მზად ვართ, ჩავანაცვლოთ საცხოვრებელი სახლი და ავარიული შენობის ნაცვლად, ახალი კორპუსი აგიშენოთ – სანამ მშენებლობა მიმდინარეობს, გაგიყვანოთ ქირით, იჯარით, რომ არცერთი თეთრის გადახდა არ მოგიწიოთ, ორი წლის თავზე კი, სრულიად ახალი, გარემონტებული და ყველანაირად მოწესრიგებული საცხოვრებელი კორპუსი გადმოგეცემათ“**, – განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**დედაქალაქის მერმა ყურადღება ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპზეც გაამახვილა. კერძოდ, A კატეგორიის იმ ტაქსებს, რომელთა ავტომანქანის ასაკი 10 წელს არ აღემატება, პირველი ივნისიდან ავტობუსის ზოლში მოძრაობა შეეძლებათ.**

მიმდინარე წლის მაისიდან მუნიციპალურ სერვისცენტრებში ე.წ. სტიკერების დარიგება დაიწყება A კატეგორიის იმ ტაქსებისთვის, რომელთაც ავტობუსის ზოლში მოძრაობის უფლება აქვთ.

იხ. 11 გვ.



## პეტრე მამრაძე: კეზერაშვილის გავლენების გათვალისწინებით, გამოძიებას მისთვის ბრალის წაყენება გაუჭირდება

### სააკაშვილის გარეშე ისევ ნულები არიან!.. სააკაშვილმა კი სულ გააფრინა!..

**პოლიტოლოგი და „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე დავით კეზერაშვილის გარშემო დაწყებულ მსოფლიო სკანდალზე საუბრობს. მამრაძე ამბობს, რომ, დიდი ალბათობით, ყოფილი თავდაცვის მინისტრისთვის ეს ყველაზე დამაზიანებელი საგამოძიებო სიუჟეტი იქნება, საიდანაც გამოძრომა გაუჭირდება. თუმცა, მისი გამოცდილებიდან და გავლენების გათვალისწინებით, მამრაძე მიიჩნევს, რომ გამოძიებას კეზერაშვილისთვის ბრალის წაყენება გაუჭირდება. ამასთანავე მამრაძე „ნაციონალებში“ დაწყებულ დაპირისპირებაზე საუბრობს და ამბობს, რომ ნიკა მელია კეზერაშვილმა და მერაბიშვილმა სწორედ სააკაშვილის მოთხოვნით მოიშორეს.**

**– საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის ირგვლივ დიდ ბრიტანეთში დიდი სკანდალი აგორდა და ფაქტობრივად, BBC-ის მიერ გამოძიებულ სიუჟეტში ის ე.წ. ქოლცენტრების თაღლითობის მთავარ ფიგურანტად დასახელდა. ამის მიუხედავად, კეზერაშვილი გადაადგილებას თავისუფლად ახერხებს. ირაკლი კობახიძის განცხადებით, შესაძლოა, მას დასავლეთში მფარველობდნენ, რადგან ვიღაცები საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით არიან დაინტერესებულნი და ამაში დავით კეზერაშვილის როლს ხედავენ. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა გაგრძელება შეიძლება ამ სკანდალს ჰქონდეს?**

– დავით კეზერაშვილთან დაკავშირებით ორი ფაქტორია, პირველი – ბრიტანეთში კანონის უზენაესობა არსებობს და ვიდრე კონკრეტული ბრალდება არა აქვს მას წაყენებული, მანამდე გადაადგილებას ვერავინ შეუშლის. რაც შეეხება კონკრეტულ ბრალდებას, ერთია, როცა ჟურნალისტი ოპერატიულად სარწმუნო ინფორმაციას მოიპოვებს და მეორე მტკიცებულებების მოპოვება, რომელიც სასამართლოში წარსადგენად არის საჭირო. აქ საჭიროა დოკუმენტები შესაბამისი ხელმოწერებით ან სასამართლოს სანქცირებული მოსმენა განხორციელდეს. მოწმეებმა უნდა თქვან, რომ კეზერაშვილი ის პირია, ვინც მათ რაღაცას ავალებდა ან ხელმძღვანელობდა, თანაც ეს უნდა რაღაცით დაამტკიცონ. ზეპირსიტყვიერად ასე არავინ დაუჯერებს. დავით კეზერაშვილი კი ამ ყველაფერში ძალიან გამოცდილია. მან საქართველოს ბიუჯეტი და ჯარი ისე გაძარცვა, რომ მისი მტკიცებულებების დიდი ნაწილი არ არსებობს. ჯერჯერობით მხოლოდ 5 მილიონის გაფლანგვაზე აქვს ბრალი წაყენებული და დამტკიცებულიც აქვს, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია. ის უკვე გამოცდილი პირია, რომელმაც იცის მტკიცებულებები როგორ გაანადგუროს. თუმცა, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, კეზერაშვილზე ჟურნალისტური გამოძიებები ადრეც იყო და ის მსოფლიოს მასშტაბით იარაღის ვაჭრობის სქემაშია ნახსენები. მისი გვარი **თემურ ალასანიას** და **ბუტის** ირგვლივ ფიგურირებდა. მაშინაც ვერ მოხდა მისთვის ბრალის დამტკიცება.

**– შესაძლოა ითქვას, რომ კეზერაშვილი დასავლურ პოლიტიკურ წრეებში, ლობისტების მეშვეობით სიტუაციას „ალაგებს“, სანაცნობო წრის დახმარებით კი მსგავს დანაშაულებრივი სქემებიდან თავს იძვრენს?**

– რა თქმა უნდა, ის ხომ მილიარდერია და ამ ყველაფერში მარტო არ არის. ამხელა ტრანსნაციონალურ დანაშაულებს მხოლოდ თავად სჩადის? ალბათ, გახსოვთ **კულტ**





# ჩემს ქვეყანაში არ დაინომრება მშობლები, არ შეურაცხვყოფთ ღვინოს, ეკლესიას, რწმენას!..

## ზაზა პაპუაშვილი: თუ შენ ყველაფერ ამას პატივს არ სცემ, მაშინ რა საერთო გვაქვს?

**– საზოგადოებამ ხმამაღლა უნდა განაცხადოს, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მოხდება საქართველოში არანაირი მაიდანი, რევოლუცია, მეორე თუ მეთოთხმეტე ფრონტები და არც არანაირი სამოქალაქო დაპირისპირება. ამიტომ, 30 აპრილს ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს და აჩვენოს ოპოზიციას და არა მარტო მათ – რა არის ქართველი ხალხის არჩევანი!“, – ეს არის თქვენი მოწოდება. ბატონო ზაზა, რამ მიგიყვანათ ამ გადაწყვეტილებამდე, რომ ქართველი ხალხისთვის ისევ დაგეძახათ რუსთაველზე?**

– თქვენი ნებართვით პატარა კორექტივებს შევიტან დასმულ კითხვაში – საქართველოს ოპოზიცია არ ჰყავს! ადამიანებს ძალიან უნდათ, რომ დაიბრალონ ოპოზიციონერობა, მაგრამ ასე არ არის. საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც წავიდნენ პოლიტიკაში მუქთა ფულისა და იოლი ფულის საშოვნელად. ამიტომ, კითხვა, რომ ჩვენ რაღაცა უნდა ვაჩვენოთ ოპოზიციას, ეს არ არის ჩვენი ამოცანა. ჩვენ „ოპოზიციის“ დასანახად არაფერს არ ვაკეთებთ! ეს ჩვენ გვინდა, ეს არის ჩვენი სურვილი.

**– რამ განაპირობა თქვენი ეს სურვილი?**

– საზოგადოებას აქვს ძალიან დიდი ძალა, მას გააჩნია გემოვნება და მის პროტესტს, მის აზრს აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. ეს ენერგია არის გათიშული, ანუ მიძინებული. მხოლოდ და მხოლოდ გვესმის წუხილები, ფაქტობრივად ერთი და იმავეს ვლაპარაკობთ, ერთი და იმავე რაღაცაზე ვწუხვართ, მაგრამ ეს რომ გადაიქცეს ერთმნიშვნელოვან ძალად, ამ ძალის შეკრებას ვერ ვახერხებთ.

საზოგადოებას სხვისი კარნახის გარეშე უნდა შეეძლოს გარკვეულ თემებთან დაკავშირებით თავისი აზრის ჩამოყალიბება და შემდეგ გაჟღერება. ქვეყანაში არ არის მარტო ეს უმეცარი და ანგაჟირებული პარტიები თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ არსებობს საზოგადოება, რომელიც მარტო სოციალურ ქსელებში და პირად წუხილებში არის გზააბნეული. ამიტომ გადავწყვიტეთ ამ გენიალური ადამიანების, მათი აზრებისა და ენერგიის გაერთიანება, ეს არის პრევენცია, ავიცილოთ მოსალოდნელი განსაცდელები. ვისაც თვალი აქვს დაინახავს და ვისაც ყური აქვს გაიგონებს.

**– რა არის ეს მოსალოდნელი განსაცდელები?**

– მოსალოდნელი განსაცდელები უკვე ხმამაღლა გაჟღერდა. ეს არის შიდა საქმეებში ჩარევა, მეორე რევოლუციის მოწყობა, ძალადობრივად ხელისუფლების შეცვლა, მაიდნის მოწყობა, მეორე ფრონტის გახსნა, შიდა დაპირისპირება, ხელისუფლების შტოების, პირველ რიგში სასამართლოს ხელში ჩაგდება და მათი მართვა. საზოგადოების გახლეჩა და დაპირისპირება. საზოგადოება ვალდებულია და შესწევს ამის ძალა, რომ უზრუნველყოს მშვიდობა. ამ „პოლიტიკოსებმა“, რომლებმაც ვერ შეძლეს ვერც ქართველ საზოგადოებასთან და ვერც ხელისუფლებასთან ოპონირება, ვერ შეძლეს ალტერნატივის დადება, ვერ უზრუნველყვეს მშვიდობა, მათ უკვე აღარ აქვთ უფლება ილაპარაკონ ქართველი ხალხის სახელით! აი, ამის უფლებას ვართმევთ ჩვენ მათ. ეს არის მოტივაცია ხელისუფლებისთვის, ჯარისთვის, პოლიციელისთვის, ბერისთვის, მრევლისთვის – რომ არ დაემუქროს ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა და სუვერენიტეტის დაკარგვა.

**– დასავლეთიდან ამდენი თითის ქნევა, ჭკუის სწავლება, რომ თუ ჩემთვის მისაღებ გადაწყვეტილებას არ მიიღებ, მე შემიძლია დაგასანქცირო, რასაც ამერიკის საელჩო და უშუალოდ ელჩი აკეთებს?**

– ამ ყველაფრის წამალი არის ქვეყნის ერთიანობა და საზოგადოების მტკიცე პროტესტი, ერთსულოვნება და მტკიცე პოზიციის ჩამოყალიბება. ჩვენ დასავლეთისაკენ ვიძარით სწორედ იმიტომ, რომ ვუყურებდით დამშვენებულ და გამართულ ქვეყნებს. ასეთივე ეკონომიკური წარმატება და დავარცხნა გვინდა ჩვენი ქვეყნის, მაგრამ თუ შენ ხელი შემიშალე იმ კანონების მიღებაში, რამაც შენ წელში გაგმართა, მაშინ ვეღარ გავიგე ჩვენი მეგობრობის არსი.

თუ ევროპაში მოვდივარ და მაქვს გარანტიები იმისა, რომ არ შეილახება ჩემი სუვერენიტეტი, არავინ არ გაბედავს ასეთ უსამართლო რეზოლუციებზე სანქციების გამოყოფას, მაშინ ვთანამშრომლობთ. სხვა კომპლექსი და სხვა პრობლემა საქართველოს არ აქვს. მას აქვს წითელი ხაზები და ამას პატიოსნად ხმამაღლა ლაპარაკობს – მე, ღმერთის ქვეყანა ვარ და ჩემს ქვეყანაში არ დაინომრება მშობლები, არ იქნება შეურაცხყოფილი ღვინო, ეკლესია, ჩემი რწმენა, რადგან მე ამით ვარ ფასეული და თუ შენ ყველაფერ ამას პატივს არ სცემ, გეკითხებით, მაშინ რა საერთო გვაქვს?! თქვენ თუ გგონიათ, რომ სააკაშვილზე, ამ კრიმინალზე გადის ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ძალიანაც შემცდარხართ! მაშინ, თქვენ არ იცნობთ ამ ქვეყანას! თუ მე არ მიმიღე ისეთი, როგორიც ვარ და შეეცადეთ ჩემს დაკოდვას და ჩემს გადაკეთებას, ვერც ერთ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვიქნებით მეგობრები, თანამოაზრეები! თუ მე ამ არეულ-დარეულ ქვეყანაში არ მექნება ეკონომიკური გარანტიები, ფიზიკური გადარჩენის გარანტიები, მაშინ მე რისთვის გჭირდებით? როცა თქვენ დაგჭირდებათ ხან ომში ჩამრთავთ, ხან მაიდანს მომიწყობთ, ხან ვიღაცას გადააყირავებთ, ხან ვიღაცას გადმოაყირავებთ, სასამართლოს წამართმევთ, გარკვეულ შტოებს თქვენ გადაიბარებთ, ეს ქვეყანა ამის მერე დარჩება როგორც ქვეყანა? პირდაპირ შეეხნენ ქართველი ადამიანის ღირსებას. ამიტომ დავაყენეთ ჩვენ ერთი საკითხი – ღირსება არ დავკარგოთ! მშვიდობა გვინდა! არა ჩვენი სახელმწიფოს ჩამოშლას და არა სუვერენიტეტის დაკარგვას!

იხ. 8 გვ.

მოვდივარ!
30 აპრილს 18:00 საათზე
რესპუბლიკის მოედანზე

---

**ვოკერთან** შეხვედრის ეპიზოდი. ეს კაცი ძალიან გავლენიანი ფიგურაა. ის CIA-ის თანამშრომელი იყო, შემდეგ ნატოში იყო წარმომადგენელი და უდიდესი გავლენების მქონე დიპლომატია. ახლა წარმოიდგინეთ ამხელა გავლენის და გამოცდილების ადამიანი რომ მსოფლიო დონის მძარცველს ხვდება. ასეთი დონის ადამიანები კეზერაშვილისნაირ საეჭვო რეპუტაციის ადამიანთან ნაცნობობასაც კი უფრთხიან და ფრთხილობენ კიდეც... რა საქმე უნდა ჰქონოდა ვოლკერს კეზერაშვილთან?! – გავლენების ყიდვას ცდილობს. ლობისტებს ეძებს იმისთვის, რომ შემდეგ თავი დაიძვრინოს გამორიცხულია, ის საქართველოში პოლიტიკაში პირდაპირ მოვიდეს, მაგრამ მას არაფორმალურად ჩარევა სურს და ამას აკეთებს კიდევაც. მისი მინისტრობა 2008 წელს შემთხვევითი არ იყო. სააკაშვილმა იმიტომ დანიშნა, რომ ის მას ყველაფერზე თავს უქნევდა და ყველაფრის უპირობო შემსრულებელი იყო. მეორე მიზეზი კი ის არის, რომ კეზერა არასდროს ილაპარაკებს. ის პოლიტიკაზე არასდროს არავის დაელაპარაკება. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ბიზნესი და რაღაცის დაფინანსება. მას შემდეგ, რაც ის საქართველოში 2021 წელს გაასამართლეს, პოლიტიკურ პროცესებში ღიად ერევა. ძალიან მდიდარ ადამიანებს ლობისტები ყოველთვის ჰყავდათ და ამას აკეთებს ისიც. ლობისტებს ეძებს კონგრესში, სენატში, ეროვნულ პარლამენტებში და ევროპარლამენტში თავისთავად. როცა ადამიანს ასეთი ლობისტები ჰყავს, მისი სასამართლომდე მიყვანა ძალიან ჭირს.

**– დამეთანხმებით, ალბათ, რომ BBC-ის მიერ ჩატარებული გამოძიება კეზერაშვილს ძალიან დააზიანებს. თუნდაც ვოკერის მსგავსი ლობისტებისთვის მისი რეპუტაციის აღდგენა ძალიან გაჭირდება.**

– რა თქმა უნდა, BBC სიუჟეტი სულ სხვა სკანდალია და ის დავით კეზერაშვილზე თავის ასახვას პოვებს. ეს არის პენსიონერებისთვის წართმეული და მოპარული ფული, რომელსაც ევროპაში ასე მარტივად არავინ გაატარებს. იქ რომ დაიწერებოდა ხოლმე ხანდახან ვიღაცა იარაღით ვაჭრობდა, ამას დიდი რეზონანსი არ ჰქონდა. ნუ, ხომ გსმენიათ, ახლა იარაღით რამდენი ვაჭრობს. თანაც ამას დაზარალებული ასე, როგორც პენსიონერები არიან, არ ჰყავდა. შუაგულ ევროპაში პენსიონერები გამოდიან და ამბობენ, რომ ცხოვრება მოგვპარესო. ახლა მგონია, რაღაცა დროით კეზერაშვილის ლობირებას ბევრი შეწყვეტს. ის განუწყვეტელი საუბარი, რომ ის არის ე. წ. მედია მფლობელი და ამის გამო იდევნება, ცოტახანს შეწყდება. ევროპარლამენტარების მხრიდან კეზერაშვილის მიმართ ასეთი რიტორიკა შეწყდება. თუ კეზერაშვილი სამართლებრივი გზით დაამტკიცებს, რომ ის მართალია და ამას უგონებენ, მისი სამართლებრივი დევნა არ დაიწყება, მაშინ ლობირება ამ ხალხის მხრიდან ისევ აღდგება.

**– „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაწყებულ დაპირისპირებაზე მინდა გკითხოთ, ნიკა მელიას, ფაქტობრივად, პარტიაში ომი გამოუცხადეს და ენმ ლამის დაიშალოს. თქვენ როგორ ფიქრობთ, პარტიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობს? მერაბიშვილის და კეზერაშვილის ჩართულობა პარტიის შიდა საქმეებში მისი თანხმობით ხდება?**

– დავიწყებ იმით, რომ ლევან ხაბეიშვილი წავიდა ვარშავაში გიული ალასანიასთან ერთად და იქ სააკაშვილის ორდენის მინიჭების ცერემონიალს დაესწრო. ეს ნიშნავს, რომ სააკაშვილის და მისი ოჯახის სურვილი ასეთი იყო და ხაბეიშვილი მათთვის მისაღები ფიგურაა. ეს ხომ პარტიისთვის მინიჭებული ორდენი არ არის, ეს იყო პიროვნებისთვის მინიჭებული. რა უნდოდა იქ ენმ-ის ლიდერს? ეს იყო სააკაშვილის სურვილი, რადგან ხაბეიშვილი ევროპაში გასულიყო და როგორც პარტიის თავმჯდომარე გაეცნოთ. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ კეზერაშვილი-მერაბიშვილის სქემა - ხაბეიშვილი აერჩიათ, სააკაშვილთან შეთანხმებული იყო. ამის მიზეზი ისაა, რომ სააკაშვილს მელიას მოშორება დიდი ხნის წინ უნდოდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მისი საქართველოში ჩამოსვლისა მელიას მიმართ ეჭვიანობა იყო.

სააკაშვილს ვიცნობ 1992 წლიდან და ძალიან კარგად ვიცი მისი ემოციური მდგომარეობა ასეთ დროს. როდესაც პარტიამ სააკაშვილის ჯინაზე მელია აირჩია და მას არ დაემორჩილნენ, იმ დღიდან მელიას მტრად გადაეკიდა. მისთვის ბოლო წვეთი მელიას დაპატიმრება იყო, როცა ამ სცენამ მთელი დასავლური მედია მოიარა. მიშასთვის ეს იყო აუტანელი, რადგან მისმა ყურმოჭრილმა მონამ, მასზე მეტი ყურადღება მიიპყრო. ამიტომ მიმაჩნია, რომ კეზერაშვილის და მერაბიშვილის გადაწყვეტილებას მისგან მწვანე ჰქონდა ანთებული. მერაბიშვილმა „გატისკვის“ მეტი რა იცის. მაგის საქმე ეგაა, თანაც მელია მერაბიშვილსაც მასზე გაკეთებული განცხადებების გამო გულზე დიდად არ ეხატებოდა.

**– ახლა რა შანსები აქვს მელიას, რომელსაც კეზერაშვილის ამხელა რესურსი და მერაბიშვილის გავლენა უპირისპირდება? ის ფაქტობრივად, მარტოა რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად დარჩენილი. როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარება?**

– ნიკა მელიას სხვა გამოსავალი არ აქვს და ის ტაქტიკურად სწორად მოქმედებს. მას პარტიიდან წასვლას ურჩევნია გარიცხონ. ის იბრძვის ბოლომდე და მისი მესმის. თუმცა, მას უკან პარტიის თავმჯდომარედ დაბრუნება არ უწერია. ენმ-ში ბევრს ხაზე ექაჯება, ბრენდი არაა და „უტყდებათ“, მაგრამ მელიას მაინც არავინ დააბრუნებს. ფაქტია, რომ კეზერაშვილს და მერაბიშვილს მიანიშნებენ, იქნებ ხაბეიშვილი შეცვალონ და ასეც იქნება, რადგან ამ დონის ფიგურა დიდხანს ვერ ეყოლებათ. თუმცა, მელიას მერაბიშვილი ბოლომდე გაწირავს და ხმას ვერავინ ამოიღებს. მას მერაბიშვილი არ გაახარებს.

**– სააკაშვილის ფიგურას მინდა შევეხოთ, ის ახლა როგორც მისი ამომრჩევლისთვის, ასევე პარტიის წევრებისთვის რა სახის ლიდერია? აქვს მას კვლავ პოლიტიკური გავლენა პროცესებზე, თუ უბრალოდ სჭირდებათ იმისთვის, რომ ამომრჩეველი შეინარჩუნონ?**

– დღეს სააკაშვილის გუნდს ვინც წარმოადგენს, ვხედავთ და წარმოიდგინეთ ამათ მასზე რა წარმოდგენა აქვთ. გახსოვთ, ალბათ, სამადაშვილის ფარული ჩანაწერი რომ გავრცელდა, სადაც სააკაშვილზე ძალიან ცუდად საუბრობს. ერთმანეთთან საუბარში, მერაბიშვილი, კეზერაშვილი და პარტიის სხვა წევრები სააკაშვილზე ლაპარაკობენ: „იდიოტია“, „გიჟია“ და სხვა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებენ. მათთვის სააკაშვილი გარეთ გამოსული და სადავეების ხელში ამღები, კატეგორიულად მიუღებელია. სააკაშვილი ციხეში, ასეთ ვითარებაში ყველაზე მეტად აწყობთ. თავიდან გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილთან ყოველდღე მორიგეობით დადიოდნენ, პირველი თვეების განმავლობაში ის 2000-მდე ადამიანმა მოინახულა. გამოდიოდნენ ძალიან ცუდი განწყობით, რადგან სააკაშვილი მათ იქ უყვიროდა, მუშტებს უბრახუნებდა და ბრძანებებს აძლევდა. რეალობას არის სრულიად მოწყვეტილი. გამოდიოდნენ ესენი და ლაპარაკობდნენ, რომ ამ გიჟმა სულ გააფრინა, თავი ისევ პრეზიდენტი ჰგონიაო. თუმცა, მეორე მხარე ისაა, რომ თავად ერთი ამომრჩეველიც არ ჰყავთ და სააკაშვილის გარეშე ნულები არიან. სააკაშვილმა თავისი ამომრჩევლის ნახევარი საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაკარგა, მაგრამ მთელი პარტიის რეიტინგი ისევ მასზე დგას. ამიტომ მის სახელს გამოიყენებენ, მაგრამ მისი გათავისუფლებისთვის არაფერსაც არ გააკეთებენ. ახლა, მისი პარტიის წევრებს, ყველაზე მეტად, ციხეში მყოფი სააკაშვილი აწყობთ...

**ესაუბრა**
**ლიკა ბერიკაშვილი**

ძლიერ სახიფათოა და კეთილშობილურ მიზნებს არ ემსახურება პოლიტიკურ კინკლაობაში ახალგაზრდების ჩართვა, ხელისუფლების, ქვეყნის მიმართ მათი დაპირისპირებული განწყობის გაღვივება.

სამწუხაროდ, „ნაციონალების" იდეოლოგიამ სასწავლო აუდიტორიებშიც შეაღწია, ქუჩის აქციები თუ მიტინგები სტუდენტური თაობის მყიფე გონებას რყვნის და წამლავს, დაუნახაობას აჩვევს, აგრესიულობას უნერგავს. პოლიტიკანები და მათი უცხოური დამკვეთები სტუდენტობის ზურგს ამოეფარნენ და არეულობისთვის, არასტუდენტური მიზნებისთვის იყენებენ. სტუდენტობა „გმირებად" აქციეს, დააჯერეს კიდეც, რომ ხელისუფლებას „რუსული"კანონპროექტი უკან გაატანინეს!

* * *

უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ რუსთაველის პროსპექტზე ხალხი სპონტანურად შეიკრიბა, ახალგაზრდებიც თავისით მოვიდნენ და სპეცრაზმის შემადგენლობამაც თვითონ დაიკავა პოზიციები. აქციაზე სტუდენტობის გამოჩენა ბევრმა გმირობად წარმოადგინა და „გამარჯვების" შემოქმედის მთავარი ტიტული მათვე მოარგო. ტყუილია ეს! ყველა აქციას ორგანიზატორი ჰყავს, წინასწარ მუშავდება განვითარების სცენარი და გაურკვეველი წარმოშობის დიდძალი თანხაც იხარჯება!

* * *

ვინც მიტინგებზე დგას და ორგანიზატორთა მითითებებს ემორჩილება, არ იცის, რომ საქართველოში შექმნილი მოთუხთუხე მდგომარეობა დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირებების გამოძახილია, თუმცა მასში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წვლილიც კარგად ილანდება – ხელისუფლებამ ღიად და დაუფარავად გამოხატა დაუმორჩილებლობა გარედან თავსმოხვეული დირექტივების ბრმად შესრულებაზე მშვიდობის სანაცვლოდ, უცხოელებისგან შეგულიანებული ოპოზიცია კი რევოლუციური სცენარის სათადარიგო ვარიანტების მზადებითაა გართული.



# შორია ევროპიდან ევროკავშირამდე?!

# იური პაპასქუა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს"!..

მიტინგები, ქუჩის აქციები, გაფიცვები, საწარმოების გაჩერება, მაგისტრალებისა და რკინიგზების გადაკეტვა, მასობრივი არეულობები (ნგრევით, ცეცხლით, მსხვერპლით) გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს საბჭოთა იმპერიის დამხობის უცხოეთში აგორებულ ტალღას შემოჰყვა და ხელისუფლებასთან წინააღმდეგობის გაწევის ლამის ერთადერთ ფორმად დამკვიდრდა.

**ვინც მიტინგებზე დგას და ორგანიზატორთა მითითებებს ემორჩილება, არ იცის, რომ საქართველოში შექმნილი მოთუხთუხე მდგომარეობა დიდი გეოპოლიტიკური დაპირისპირებების გამოძახილია, თუმცა მასში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წვლილიც კარგად ილანდება – ხელისუფლებამ ღიად და დაუფარავად გამოხატა დაუმორჩილებლობა გარედან თავსმოხვეული დირექტივების ბრმად შესრულებაზე მშვიდობის სანაცვლოდ, უცხოელებისგან შეგულიანებული ოპოზიცია კი რევოლუციური სცენარის სათადარიგო ვარიანტების მზადებითაა გართული.**

დამოუკიდებლობის დეკლარირებიდან დღემდე, ხელისუფლების თითქმის ყველა ცვლილება რევოლუციური გზით ხორციელდება, რაც არაა ნორმალური მოვლენა. ყოველგვარი რევოლუცია ძალადობაა და ამ გზას მხოლოდ უბედურება მოაქვს. შიდა დაპირისპირება, ურთიერთობათა დაძაბულობა გრძელდება არჩევნებიდან არჩევნებამდე და მუდმივად გაისმის მოწოდებები რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შესახებ. არჩევნებში ჩართული ყველა სუბიექტი ხალხს სთხოვს მხარდაჭერას და მათ მსახურად დგომას ჰპირდება. მაგრამ ყველაზე საშინელება, მავნებლობა და ხალხის ნების იგნორირება, რაც კი შეიძლება წარმოიდგინო, ეს ამომრჩევლის მანდატის მქონე დეპუტატის პარლამენტში არ-შესვლა და მუდმივი ბოიკოტია.

უმცირესობა იმის მაგივრად, რომ კონსტრუქციულად მუშაობდეს მმართველ ძალასთან, საპარლამენტო დებატებში მონაწილეობდეს და არგუმენტირებულად მსჯელობდეს, პირველივე დღიდან ხალხის აბუნტებითაა დაკავებული.

ნაკლებსარწმუნოა, რომ ოპოზიციის ძალისხმევით შეკრებილი მომიტინგეთა ნაწილი, მით უფრო, ყოველმხრივ ორიენტაციადაკარგული ფერადი აქტივისტები, ქვეყნის სიყვარულს გამოჰყავდეს ქუჩაში. მათი წივილი, მუქარა, თავდაჯერებული დანაქადები, არ მგონია, წინსვლას ემსახურებოდეს. „მოლოტოვის კოქტეილების" დაშენა პოლიციებზე, ქვების სროლა, მანქანების აყირავება, ბარიკადების აღმართვა, ცეცხლის გაჩენა, პარლამენტზე შტურმი, ფანჯრების ჩალეწვა, შიშველი მკერდის წყლის ჭავლზე მიშვერა და სხვა ათასი მსგავსი „თავგანწირვა" სულაც არაა ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ადამიანების გააზრებული საქციელი.

მოწოდება სახელმწიფო ინსტიტუტების დამხობისკენ, პოლიციელების ლანძღვა, სამართალდამცავი სტრუქტურების შეურაცხყოფა ევროპაშიც დასჯადია და სახელმწიფოს უთხრის ძირს. ჩვენი წინაპრები ხილულ თუ უხილავ მტრებთან საუკუნეობით იბრძოდნენ, ინარჩუნებდნენ სახელმწიფოებრიობას. ესენი კი, შიგნით, თვითონ ანადგურებენ ხალხის მიერ ნაგროვები სახსრებით შექმნილ სახელმწიფო ინსტიტუტებს - როცა პოლიციელს ასახიჩრებენ, სპეციალური დანიშნულების რაზმების დისკრედიტაციას ეწევიან, ჯარს, პრემიერს, მინისტრებს, განურჩევლად ყველას აგინებენ, ფიზიკურად თავს ესხმიან, ეს უპატიებელი დანაშაულია!

**უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ რუსთაველის პროსპექტზე ხალხი სპონტანურად შეიკრიბა, ახალგაზრდებიც თავისით მოვიდნენ და სპეცრაზმის შემადგენლობამაც თვითონ დაიკავა პოზიციები. აქციაზე სტუდენტობის გამოჩენა ბევრმა გმირობად წარმოადგინა და „გამარჯვების" შემოქმედის მთავარი ტიტული მათვე მოარგო. ტყუილია ეს! ყველა აქციას ორგანიზატორი ჰყავს, წინასწარ მუშავდება განვითარების სცენარი და გაურკვეველი წარმოშობის დიდძალი თანხაც იხარჯება!**




აგენტების კანონპროექტთან დაკავშირებული საპროტესტო ტალღა მორალგამოცლილ ხანგრძლივ სახელისუფლებო ანტიპროპაგანდას მოჰყვა და უფრო უკეთესად იყო ორგანიზებული, ვიდრე ეს „გავრილოვის ღამეს" აგორდა. ხელისუფლებაც უფრო მოზომილად მოქმედებდა, თუმცა ორივე მხრიდან ადგილი ჰქონდა სამტრო დაპირისპირებას წესების გარეშე!

**ძლიერ სახიფათოა და კეთილშობილურ მიზნებს არ ემსახურება პოლიტიკურ კინკლაობაში ახალგაზრდების ჩართვა, ხელისუფლების, ქვეყნის მიმართ მათი დაპირისპირებული განწყობის გაღვივება.**

**სამწუხაროდ, „ნაციონალების" იდეოლოგიამ სასწავლო აუდიტორიებშიც შეაღწია, ქუჩის აქციები თუ მიტინგები სტუდენტური თაობის მყიფე გონებას რყვნის და წამლავს, დაუნახაობას აჩვევს, აგრესიულობას უნერგავს. პოლიტიკანები და მათი უცხოური დამკვეთები სტუდენტობის ზურგს ამოეფარნენ და არეულობისთვის, არასტუდენტური მიზნებისთვის იყენებენ. სტუდენტობა „გმირებად" აქციეს, დააჯერეს კიდეც, რომ ხელისუფლებას „რუსული"კანონპროექტი უკან გაატანინეს!**

თითქმის 20 წელი გადის, რაც „ნაციონალური" მოძრაობის ტერორის ქვეშ ვცხოვრობთ და ამ სახადისგან ვერ განვთავისუფლდით. სიყალბე, ძალადობა, დესტრუქცია, დაუნდობლობა, ქვეყნისთვის ძირგამომთხრელი საქმიანობა, ათასი სხვა გაუსაძლისი მსოფმხედველობრივი ზემოქმედება სწორედ ამ გუნდიდან მოდის!

ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მისი ხელმძღვანელის აცუნდრუკებამ, ახირებებმა და ძალადობამ

დასასრული. დასაწყისი იხ. №46

ვერც ევროკავშირი, ვერც სხვა ნებისმიერი გაერთიანება ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს სახელმწიფოს, თუ ხელისუფლება, პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთთან დიალოგს, საერთო უმთავრესი მიზნისკენ სწრაფვას არ ისწავლის, თუ შიდა პრობლემებზე გარე-გარე სირბილი, აქციებზე გამოყვანილი მომხრეთა რაოდენობის, ძალის, გავლენების დემონსტრირების და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნაზე მოწოდებები არ შეწყდება.

* * *

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ჩვენ მასწავლებლებიც არ გვყავს. მათ არ აღარდებს მოსწავლე/სტუდენტი დებულობს თუ არა ცოდნას – არც მოტივაცია გააჩნიათ ამისი და არც სურვილი. იმიტომ, რომ მათაც „დამპალი ვაშლი" აქვთ ნაყიდი და ყოველდღიურ საცხოვრის ორომტრიალში ყელამდე არიან ჩაძირული.

* * *

კატეგორიულად მცდარია პოზიცია, რომლის მიხედვითაც ყველაზე მაღლა დგას სახელმწიფო, მის ინტერესებს უნდა ემსახუროს ყველა და ყველაფერი. სახელმწიფოში, ცხადია, ინსტიტუტები მნიშვნელოვანია და მათ ღირსებაზე მოქალაქეებმაც უნდა იზრუნოს. მაგრამ ადამიანი, სამყაროს შემოქმედის ეს სრულყოფილი ქმნილება, ყველაზე ძვირფასია და მის კეთილდღეობას უნდა ემსახუროს სახელმწიფო და მისი ინსტიტუტებიც.

* * *

საზოგადოება მხოლოდ მაშინ ავლენს სიმწიფეს, თუ გამოცდილების საფუძველზე მოახერხებს მოვლენების განჭვრეტას, პროცესების განვითარების ვექტორის გასაზღვრას და შესაბამისად იმოქმედებს – მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებს აიცილებს ან მის სასიკეთოდ შემობრუნებას შეუწყობს ხელს.

გაუსაძლისად აქცია ისედაც გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების ყოფა. ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც მისი თავნებობების და თვალთმაქცობების მომსახურებას ხმარდება ჩინოსანთა ძალი და ენერგია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ავადსახსენებელმა კოჰაბიტაციამ გაათამამა და წაახალისა დამნაშავეთა ეს ხროვა.

კოლექტიურ დასავლეთს არ უნდა დაინახოს თავისი პროექტი – ყოფილი პრეზიდენტის დანაშაულებრივი წარსული და მას ჯილდოების ჩამორიგებით ამხნევებს. ამით ხელს უმართავს პოზიციათა პოლარიზაციას, მენტალურ შეუთავსებლობის კიდევ უფრო გამწვავებას ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც.

თანდათანობით გამაღიზიანებელი და აუტანელი ხდება ქვეყნის შიდა ამრევებისა და უკრაინის ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი, რომელიც ერთი-ერთში ჰგავს ერთიანი **„ნაციონალური მოძრაობის“** პოზიციას. უკრაინაში ომი ეს მსოფლიო კატასტროფაა. კოლექტიური დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირება უკვე უმწვავეს ფაზაში შევიდა.

იმის მაგივრად, რომ სამშვიდობო მისია იკისრონ, ომი შეწყდეს, გიგანტი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ომის გამწვავებით არიან დაკავებულები. საზოგადოების ნაწილმა იცის და დადებითად აფასებს ქვეყნის აღმასრულებელი ხელმძღვანელობის უკრაინელი ხალხის მიმართ თანადგომას, სამშვიდობო მეცადინეობას, თუმცა აუცილებელია ყველამ გააცნობიეროს, რომ ამ ომში ნებისმიერი სხვა სახით ჩართვა ახალი დიდი უბედურების მომასწავლებელია.




ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია მუდმივ დაპირისპირებაში ცხოვრობს – ერთ მხარეს ხელისუფლების მომხრე, მეორე მხარეს კი არაკონსტრუქციული ოპოზიცია – „ერთიანი ნაციონალური“ სიბნელე და მისი ნაშალი ნაწილები დგას. როგორც ვთქვი, ხალხი კი ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან ამ დაპირისპირებაში იგნორირებულია. ის პოლიტიკურ პროცესებში მხოლოდ არჩევნების წინ და არჩევნებზე ახსენდებათ!

7-8-9 მარტის მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ ხელისუფლების სამივე შტო – პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი განსხვავებულ პოზიციაზე იდგა. პრეზიდენტმა ოპოზიციას დაუჭირა მხარი – თითს უქნევდა პარლამენტსა და მთავრობასაც; პარლამენტართა უმრავლესობაშიც არ იყო ერთიანობა. ვერც მთავრობამ მოახერხა დაპირისპირება ჩაეცხრო და შიგნით მოეწესრიგებინა უთანხმოება. გარედან მართული დესტრუქციული ძალები, საერთაშორისო ორგანიზაციებში ნაციონალების მიერ მოსყიდულ-გაბრუებული ჩინოვნიკობა, მტრულად განწყობილი გარემოცვა და მეტწილ, შემოტმასნულ-ჩანერგილი ორგულობა ხელისუფლებას გასაქანს არ აძლევს უფრო ორგანიზებულად იმოქმედოს!

**ვერც ევროკავშირი, ვერც სხვა ნებისმიერი გაერთიანება ვერანაირ სიკეთეს ვერ მოუტანს სახელმწიფოს, თუ ხელისუფლება, პოზიცია და ოპოზიცია ერთმანეთთან დიალოგს, საერთო უმთავრესი მიზნისკენ სწრაფვას არ ისწავლის, თუ შიდა პრობლემებზე გარე-გარე სირბილი, აქციებზე გამოყვანილი მომხრეთა რაოდენობის, ძალის, გავლენების დემონსტრირების და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნაზე მოწოდებები არ შეწყდება.**

წარსულში და ახლაც, ჩვენი წარუმატებლობის, სიდუხჭირის და მუდმივი შიდააშლილობის ძირითადი მიზეზი საკადრო პოლიტიკაა. **ხალხის გარეშე ჩატარებული არჩევნებით, ხელმძღვანელობაში მოდიან შემთხვევითი, გამოუცდელი, მართვის უუნარო კაცუნები.** ძალაუფლებასა და კომფორტს დახარბებული ჩინოსნები ყველაფერზე მიდიან – ავიწყდებათ დანაპირები, ერიც, მამულიც, ენაც, სარწმუნოებაც. მეტი ნებივრობისთვის, მათ უვიცები მოჰყავთ აღმასრულებელ პოსტებზე, თავიანთი ძალაუფლების განსამტკიცებლად აზრძოლებენ და თუკი ვემნე „აზრზე მოვა“, ისინი მტრები, მოღალატეები ხდებიან.

**კატეგორიულად მცდარია პოზიცია, რომლის მიხედვითაც ყველაზე მაღლა დგას სახელმწიფო, მის ინტერესებს უნდა ემსახუროს ყველა და ყველაფერი. სახელმწიფოში, ცხადია, ინსტიტუტები მნიშვნელოვანია და მათ ღირსებაზე მოქალაქეებმაც უნდა იზრუნოს. მაგრამ ადამიანი, სამყაროს შემოქმედის ეს სრულყოფილი ქმნილება, ყველაზე ძვირფასია და მის კეთილდღეობას უნდა ემსახუროს სახელმწიფო და მისი ინსტიტუტებიც.**

**ასეთი მენტალური ცვლილების გარეშე, საზოგადოება ჩარჩება ძველ დროში. ევროპული პერსპექტივაც უკან დარჩება.**

ჩვენ მუდამ უკვე მომხდარი ფაქტების გამოხმაურებებს მივდევთ. მერე, რამდენიმე დღე ყველა ამ მოვლენას ატრიალებს ყველა ბრუნვაში. მასში ზოგი პოზიტივს ხედავს, ზოგიც - ქვეყნის დასასრულს. საზოგადოება, რომელიც მხოლოდ მომხდარ ფაქტებზე რეაგირებს და ახალი გასართობის მოლოდინშია, წინ არ იხედება, განწირულია დროში ჩამორჩენისთვის.

**საზოგადოება მხოლოდ მაშინ ავლენს სიმწიფეს, თუ გამოცდილების საფუძველზე მოახერხებს მოვლენების განჭვრეტას, პროცესების განვითარების ვექტორის განსაზღვრას და შესაბამისად იმოქმედებს – მოსალოდნელ ნეგატიურ შედეგებს აიცილებს ან მის სასიკეთოდ შემობრუნებას შეუწყობს ხელს.**

ყველა დროის უბედურების სათავე, რაც ჩვენ გვჭირს, გაუნათლებლობა, კანონების უმოქმედება და შერჩევითი სამართალია! ეს უბედურებანი უკუნი სიბნელიდან მოდის. ადრეც შორს ვიყავით ცოდნისგან. მაგრამ ათასში ერთიორი გამოერეოდა თვითნაბადი ბრძენკაცი და უძღვებოდნენ ერს, განარიდებდნენ კარსმომდგარ ფათერაკს. ჩვენს დროში ბრძენი წინამძღოლები შემოგვაკლდა, არც კარგი სტრატეგები შემოგვრჩა. ამიტომაც გარედან მართულმა ჩინოსნებმა, სრულიად შეგნებულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მოშალეს განათლების სისტემა და ამ არეულობას 90-იანი წლების დასაწყისში გლობალური რღვევის პროცესებმა დაუდეს სათავე, 2000-იანი პირველ ათწლეულში კი ბოლო მოეღო!

დიახ, ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა ცოდნის და მართლმსაჯულების დეფიციტია! ცოდნისადმი ინტერესი დიდი ხანია გაქრა და სწავლის პროცესიც ჩაკვდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სისტემა აძლევს მათ ამის საშუალებას. ამის გამო, სწავლას მოწადინებულთა რაოდენობაც შემცირდა. დარჩენილთაგან ნაწილი უცხოეთში გარბის, იქ იხვეჭენ სახელს და დიდებას.

ცოდნისადმი ინტერესი სწავლების ხარისხზეა დამოკიდებული. ბაღი, სკოლა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ფაქტობრივად, არაფერს აძლევს მოზარდს. ქვეყანაში მიმდინარე არეულობებმა ოჯახს შვილების აღზრდისთვის საჭირო დრო და მოტივაცია წაართვა. ბაღი „ბავშვების შესანახ“ სივრცედ იქცა, სასკოლო პროგრამები ეროვნულობისგან და საჭირო მასალისგან დაიცალა. დღეს სტუდენტობა სწავლაში ფულს იხდის და „დამპალ ვაშლს“ – უხარისხო ცოდნას ყიდულობს, მიტინგებზე ხარჯავს სწავლის დროს და არც იცის რას აპროტესტებს, სრულფასოვან ცოდნას რომ არ იძენს, ამაზე კი ხმას არ იღებს!

**ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ჩვენ მასწავლებლებიც არ გვყავს. მათ არ ადარდებს მოსწავლე/სტუდენტი დებულობს თუ არა ცოდნას – არც მოტივაცია გააჩნიათ ამისი და არც სურვილი. იმიტომ, რომ მათაც „დამპალი ვაშლი“ აქვთ ნაყიდი და ყოველდღიურ საცხოვრის ორომტრიალში ყელამდე არიან ჩაძირული.**

დიახ, პრობლემა მართლაც დიდია. მაგრამ მიუხედავად ამისა, არაფერი კეთდება იმისათვის, რომ განათლების სისტემა შეიცვალოს. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ოკეანის გაღმა „ნასწავლმა“ ახალმა თაობამ დაამკვიდრა ჩვენში გაუნათლებლობა და სხვა უბედურებანიც. მაჰათმა განდის აქვს ნათქვამი: **„ყველაზე საშიში მტერი არა კოლონიზატორი და ოკუპანტია, არამედ მათ მიერ გამოწვრთნილი შენი თანამემამულე“** უცხოეთში ნასწავლი უცხოელის მსახური, მორჩილი გახდა და მათ საქმეს მითითებების გარეშეც კარგად აკეთებს! გასტროლიორმა „განათლების მაძიებლებმა“ვერც უცხოური ცოდნა აითვისეს სრულყოფილად და ვეღარც მშობლიურ სიბრძნეს დაეუფლნენ. ამიტომაც ჩავრჩით ბნელეთში და გვიჭირს.

გაუნათლებლობის გამოვლინებაა მართლმსაჯულების მოუწესრიგებლობა ქვეყანაში. ამ დარგში მრავალ მოუგვარებელ და გადასაწყვეტ საკითხთა შორის, მთავარი პრობლემა სასამართლო ინსტანციებში მოსამართლეების გავლენათა ჯგუფებისგან დამოუკიდებლობაა. მოჩვენებით წესრიგში მართლმსაჯულება, მართლაც, დამოკლეს მახვილივითაა და ყველაზე მეტად, ხელისუფლებას უნდა აწყობდეს ამ სფეროში სრული წესრიგი.

**„ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე გონება-გახსნილი გულ-განათებული კაცები არა ჰყავს“**, ბრძანებდა ილია. მაგრამ ვინ მოუსმინა?!

**„მხოლოდ განათლება იყო და არის წყარო ყოველგვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა“** – საუკუნოვანი წარსულიდან გვმოძღვრავს აკაკი და დღესაც უკუნეთიდან გამოსავალი ცოდნის მიღებასა და წარსულის მწარე გამოცდილების გათვალისწინებაშია.



# სინოდის ზოგიერთი წევრი ისევ ჭურში ზის!

**მაღალ იერარქებში აზრი მას შემდეგ გაიყო, რაც გიული ალასანიამ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა დრამატულად წარმოაჩინა, რომ სააკაშვილს აღარ აქვს კუნთოვანი მასა, კარგავს გონებას, არის ტყავი, გადაკრული უკანა ტყავზე და 12 წლის ბავშვის ხელი გაუხდა.**

სინოდის წევრთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მესამე პრეზიდენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება დაცული უნდა იყოს და ხელისუფლებამ სამკურნალოდ მისი გადაყვანა უნდა უზრუნველყოს.

**„რა თქმა უნდა, უნდა გადაიყვანონ მიხეილ სააკაშვილი უცხოეთში სამკურნალოდ. ამ ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა გაითავისონ, რომ ისინი ირჩევენ ხელისუფლებას, ისინი არიან დამქირავებლები და ნებისმიერი ხელისუფლება მათი მსახურია. საქართველოში ყველა ხელისუფლება ერთმანეთს ჰგავს, არც ერთი ერთმანეთზე უკეთესი არ იყო და ჯერჯერობით არ არის“**, – აცხადებს დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის **მთავარეპისკოპოსი ზენონი.**

მეუფე ზენონისგან განსხვავებით, სააკაშვილის ჯანმრთელობაზე უფრო ზოგადად საუბრობენ მიტროპოლიტი გრიგოლი და მიტროპოლიტი ილარიონი.

ფოთისა და ხობის ეპარქიის **მიტროპოლიტი გრიგოლი** მიიჩნევს, რომ როცა ადამიანის ჯანმრთელობაზეა საუბარი, აქ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ვიზრუნოთ მის სიცოცხლეზე, რა ვითარებაშიც არ უნდა იყოს იგი, საპატიმროში, თუ მის გარეთ.

მესტიისა და ზემო სვანეთის **მიტროპოლიტ ილარიონის** აზრითაც, ყველა ადამიანს უნდა გაეწიოს ყურადღება და, თუ საჭიროა, სამედიცინო დახმარებაც ჩაუტარდეს.

**რას შეცვლის მაღალი იერარქების განწყობა სააკაშვილთან მიმართებით?**

ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** მიიჩნევს, რომ ეკლესიას აქვს სპეციფიკური და განსაკუთრებული ადგილი ქართულ საზოგადოებაში, სასულიერო პირები ყოველთვის ამოდიან ჰუმანიზმის პრინციპებიდან, ამით გამოირჩევიან საზოგადოების სხვა წევრებისგან.

**„არ ვიცი, კონკრეტულად ეს სასულიერო პირები რის საფუძველზე აკეთებენ ამ განცხადებას, არც ის ვიცი, ისინი აკითხავენ თუ არა სააკაშვილს კლინიკაში და თვლიან თუ არა, რომ პაციენტი სააკაშვილი მძიმედ არის, თუმცა შესაძლოა, სასულიერო პირებზე იმოქმედა გიული ალასანიას ნათქვამმა, რომ სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმებულია. რეალურად, ეს საექიმო კონსილიუმის კომპეტენციაა და, ელემენტარულად, სტრასბურგის სასამართლოშიც გაგზავნილია სარჩელი, მაგრამ დღემდე ეს სარჩელი არ განხილულა. რაიმე სერიოზული და საგანგაშო რომ ყოფილიყო, პირველ რიგში, სტრასბურგის სასამართლო განიხილავდა ამას. მე ვფიქრობ, საქართველოში ამ დარგის სპეციალისტები არსებობენ და უცხოეთში სააკაშვილის გაგზავნა არ არის საჭირო“**, – აცხადებს ვახტანგ მაისაია და იხსენებს სააკაშვილის ავტოკრატიული რეჟიმის პირობებში როგორ უმძიმეს მდგომარეობაში იყვნენ პატიმრები.

პირადად ვახტანგ მაისაია როცა მორგიდან ამოიყვანეს და ისეთ მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ ვერ ინძრეოდა, არათუ სამოქალაქო კლინიკაში არ გადაიყვანეს, სამედიცინო პერსონალსაც კი აუკრძალეს მასთან შესვლა, არც რეზბალნიცაზე გადაიყვანეს.



**„თავი გატეხილი მქონდა, კბილები ჩამტვრეული და იმ დროს დაზიანებული კბილების მკურნალობა დღემდე სერიოზული თანხა მიჯდება. თუ ამ თანხას ამინაზღაურებს დღევანდელი ხელისუფლება, ცუდი არ იქნება. თუმცა მთავარი პროკურატურა გაჩერებულია ჩემს საკითხთან დაკავშირებით. იმ პერიოდში არ დამიწუწუნია, რომ გადავეყვანე კლინიკაში, არც არავინ გადამიყვანდა. სააკაშვილი კი ახლა ტირის და ბღავის კლინიკაში. ხომ იყო საქართველოს პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი, მოიქცეს ისე, როგორც მთავარსარდალს ეკადრება. მეც ვიყავი საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერი და არ დამიწუწუნია მორგიდან ამოყვანილ კაცს“**, – განმარტა ვახტანგ მაისაიამ.

**მანანა ნოზაძე**

**ამ სამყაროსთან დამშვიდობებულ და ჩვენს მოგონებებში მცხოვრები ადამიანების გახსენების ჩვეულება, განურჩევლად მათი პროფესიისა, კარგია, რომ არსებობს და დავიწყებას არ მიეცა. გახსენებული ადამიანის მაგალითზე, ეს ტრადიცია არა მხოლოდ გვაამაყებს იმით, რისი უნარიც გვაქვს როგორც ერს, როგორც ხალხს, არამედ გვაძლევს შესაძლებლობას გარედან შევხედოთ საკუთარ თავს და შევაფასოთ საკუთარი „მე" დღეს და მომავალში...**



# ჰეიდარ ალიევის ერთგული თანამეცხედრე

## აკადემიკოსი ზარიფა ალიევა

ქალბატონი ზარიფა ალიევა დაიბადა 1923 წლის 28 აპრილს ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის შარურის რაიონის სოფელ შაჰთახთში, აზერბაიჯანის მომხიბვლელ კუთხეში. ზარიფა ხანუმი დაიბადა აზიზ მამედქარიმ ოღლუ ალიევის ოჯახში. ალიევა გამოჩენილი მეცნიერი გახლდათ. ის თავისი სამშობლოს ღირსეული შვილი იდგა და მუდამ საკუთარი ხალხის სამსახურში იყო. მამამისი აზიზ მამედკარიმ ოღლუ ალიევი და დედამისი ლეილა ჯაბარ ყიზი აბასოვა დაიბადნენ ერევანში, სადაც იმ დროს აზერბაიჯანული მოსახლეობა დიდი რაოდენობით სახლობდა. აზერბაიჯანელების წინააღმდეგ შეგნებულად გატარებულმა გენოციდურმა პოლიტიკამ აიძულა აზიზ ალიევი 1918 წელს მიეტოვებინა პეტერბურგი და ოჯახით იძულებული გახდა ერევნიდან სოფელ შაჰტახტში გადასულიყო.

1923 წლის მაისში აზიზ ალიევმა გადაწყვიტა ბაქოში გადასვლა. მიზანი საკმაოდ ნათელი იყო. აზიზ ალიევს, რომელმაც რთულ პერიოდში ოქროს მედლით დაამთავრა ერევნის გიმნაზია და განათლებაში დიდ წარმატებებს მიაღწია, არასრული განათლების შეწყვეტა მოუწია. ბაქოში დაამთავრა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, შემდეგ კი ასპირანტურა, გახდა მეცნიერებათა კანდიდატი. მოკლე დროში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1929 წელს 32 წლის აზიზ ალიევი მუშაობდა აზერბაიჯანის ჯანდაცვის კომისარიატში ჯანდაცვის კომისრის მოადგილედ.



ალიევების ოჯახი

ქალბატონი ზარიფა გაიზარდა ისეთ ოჯახში, სადაც დიდი სიტყვის ოსტატები და ხელოვანი ადამიანები იყრიდნენ თავს, როგორებიც იყვნენ უზეირ ჰაჯიბეკოვი, მუსლიმ მაგომაევი, მირასადულა მირგასიმოვი, ბულბული, სამად ვურგუნი და სხვები. მათ სიცოცხლე მიუძღვნეს აზერბაიჯანული კულტურის, მუსიკისა და მეცნიერების განვითარებას და სწორედ ეს გახდა ზარიფა ხანუმისთის კარგი მაგალითი.

მომავალი ბედის სამედიცინო მეცნიერებისთვის დაკავშირების მიზნით, 1942 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ქალბატონი ზარიფა ჩაირიცხა აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო-პროფილაქტიკის ფაკულტეტზე და 1947 წელს ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა. სწორედ ამ დროს აზერბაიჯანში იყო გავრცელებული ტრაქომა, ინფექციური დაავადება, რომელიც აზიანებს თვალს და იწვევს სერიოზულ შედეგებს, სრულ სიბრმავესაც კი. არ არსებობდა ეფექტური მკურნალობის მეთოდები მის წინააღმდეგ. ამიტომ ამ ინფექციისა და მისი სერიოზული შედეგების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ოფთალმოლოგიის მეცნიერებისთვის, არამედ მთლიანად რესპუბლიკის ჯანდაცვისთვის. ასეთ პერიოდში ქალბატონი ზარიფა აქტიურად მონაწილეობდა ტრაქომიის წინააღმდეგ თერაპიული და პრევენციული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში. გარდა კონკრეტული მკურნალობის გამოცდილებისა, ის დადიოდა რეგიონებში, სადაც ტრაქომა უფრო გავრცელებული იყო, კითხულობდა მოხსენებებს ექიმებისა და ოფთალმოლოგებისთვის, ბევრს ესაუბრებოდა მოსახლეობას.

მაგრამ ეს არ იყო საკმარისი მძიმე ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საჭირო იყო რესპუბლიკაში რეგიონული მნიშვნელობის თვალის დაავადებებზე, მათ შორის პროფესიული თვალის დაავადებებზე ფუნდამენტური კვლევის ჩატარება, ამ დაავადებების მკურნალობის ეფექტური მეთოდებისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება. ქალბატონ ზარიფას ასევე სურდა უსინათლოების დახმარება, მათთვის სიცოცხლის ხალისის დაბრუნება.

ეს სურვილი მას მოსკოვში წაიყვანს და ქალბატონი ზარიფა ექიმთა მომზადების ცენტრალური ინსტიტუტის ორწლიანი სპეციალიზაციის კურსზე ოფთალმოლოგის სპეციალობას ეუფლება. სპეციალიზაციის კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, 1949 წლიდან დაიწყო მუშაობა აზერბაიჯანის თვალის დაავადებათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1950 წელს ჩააბარა ასპირანტურაში და განაგრძო სამეცნიერო კვლევები. მუშაობდა ექიმ-პრაქტიკოსად. ქალბატონი ზარიფა, რომელიც თვალის სხვადასხვა დაავადების სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებით იყო დაკავებული, სამეცნიერო საქმიანობის პირველ ეტაპს ტრაქომიის ინფექციური დაავადების მკურნალობას უძღვნის. ამრიგად, ზარიფას პირველი სამეცნიერო კვლევის საგანს თავად ცხოვრება განსაზღვრავს.

ქალბატონმა ზარიფამ, რომელმაც საკუთარ თავს აზერბაიჯანში ტრაქომის აღმოფხვრა დაისახა მიზნად, კარგად იცოდა რამდენად რთული და კომპლექსურია ეს პრობლემა. მაგრამ მიუხედავად საქმის სირთულისა და პასუხისმგებლობისა, ის მალე დიდ წარმატებას აღწევს.

აზერბაიჯანში ტრაქომიის, როგორც სოციალური დაავადების გაუქმებაც ქალბატონ ზარიფას სახელს უკავშირდება.

ტრაქომის შესწავლასა და მკურნალობაზე სამეცნიერო სამუშაოს დასრულების შემდეგ, ქალბატონმა ზარიფამ დაიწყო კვლევები ოფთალმოლოგიის მეცნიერებისთვის მნიშვნელოვან სხვა მიმართულებებში. ის ატარებს მთელ რიგ სამეცნიერო კვლევებს, რომლებიც დაკავშირებულია გლაუკომის შესწავლასთან. ამ კვლევების შედეგებზე სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებამ პრესაში ხელი შეუწყო თვალის კლინიკური დაავადების სფეროში მოღვაწე ექიმების ცოდნის გაფართოებას.

1960-1967 წლებში ქალბატონი ზარიფა მუშაობდა ოფთალმოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1963 წელს სსრკ უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას მიანიჭა უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის წოდება „ოფთალმოლოგიის" სპეციალობაში.

1967 წელს ალიევა მიიწვიეს დოცენტის თანამდებობაზე აზერბაიჯანის სახელმწიფო სამედიცინო სასწავლო ინსტიტუტის თვალის დაავადებათა განყოფილებაში. ამ ინსტიტუტს ეწოდა გარდაცვლილი პროფესორის აზიზ მამედკარიმ ოღლუ ალიევის სახელი, რომელიც ამ გუნდს სიცოცხლის ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა – ქალბატონი ზარიფას მამა!

ამ ხნის განმავლობაში ზარიფა ხანუმი ეწევა სამედიცინო საქმიანობას: ატარებს ბევრ ოპერაციას, აძლევს რჩევებს პაციენტებს, უფრო მეტიც, მისი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი კლინიკით, არამედ მოიცავს ყველა ოფთალმოლოგიურ ორგანიზაციას და განყოფილებას. პარალელურად ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას თვალის დაავადებების გაძლიერებულ კურსებზე დამსწრე ექიმებთან.

1968 წლიდან ზარიფა ალიევამ მიზანმიმართულად დაიწყო მხედველობის ორგანოს პათოლოგიასთან გამკლავება.

ამავდროულად, მან ყურადღება გაამახვილა იოდ-სამრეწველო საწარმოებში მომუშავე ადამიანების მხედველობის ორგანოებზე მოქმედ ფაქტორებზე, ნავთობქიმიურ მრეწველობაში.

ამ პრობლემაზე მუშაობისას ქალბატონი ზარიფა ხშირად სტუმრობდა სამრეწველო საწარმოებს და ახორციელებდა მომუშავე პირთა ოფთალმოლოგიურ გამოკვლევას. გარდა ამისა, მან ჩაატარა სამეცნიერო ექსპერიმენტები ლაბორატორიულ პირობებში ბაქოსა და სუმგაითის სამრეწველო საწარმოების სახელოსნოებში, მათ შორის საბურავების ქარხანაში. ფართომასშტაბიანი კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევების შედეგად მეცნიერმა მხედველო-



ბის ორგანოზე ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ძირითადი კანონზომიერება გამოავლინა.

მრავალწლიანი დაკვირვების, კლინიკური კვლევებისა და ექსპერიმენტების შედეგები დაედო საფუძვლად ქალბატონ ზარიფა ალიევას სადოქტორო დისერტაციას. „აზერბაიჯანის მთელი რიგი ქიმიური საწარმოების თანამშრომლების მხედველობის ორგანოს მდგომარეობა“ ასეთი იყო მისი დისერტაციის თემა, რომელიც ოფთალმოლოგიის ერთ-ერთ პრესტიჟულ ცენტრში - მოსკოვის ჰ.ჰელმჰოლცის სახელობის თვალის დაავადებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა.

1977 წელს ზ.ა. ალიევას მიენიჭა სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

სადოქტორო დისერტაციის დაცვიდან მალევე ქალბატონი ზარიფა აირჩიეს აზერბაიჯანის ექიმთა სახელმწიფო ინსტიტუტის ოფთალმოლოგიის კათედრის პროფესორად, 1983 წელს კი ამ განყოფილების ხელმძღვანელად. ალიევამ პირველივე დღიდან შემოიკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდა კოლეგები და შეძლო წარმატებით მოეწყო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. მაშინ დეპარტამენტის არსებული ბაზა არ აკმაყოფილებდა სამეცნიერო კვლევების ჩატარების მოთხოვნებს. საჭირო იყო ინიციატივის გამოვლენა და ქალბატონმა ზარიფამ არაერთი კონკრეტული ნაბიჯი გადადგა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. 1977 წელს, პროფესორ ალიევას წინადადებით, ბაქოში გაიმართა ოფთალმოლოგთა გაერთიანებული საზოგადოების პლენუმი. ასეთი ღონისძიება ბაქოში პირველად გაიმართა და, რა თქმა უნდა, დიდ ორგანიზაციულ უნარებსა და მდიდარ გამოცდილებას მოითხოვდა. პლენუმის მომზადებისა და მისი ჩატარების მთელი სიმძიმე ქალბატონმა ზარიფამ აიღო საკუთარ თავზე. ამ პლენუმის გამართვამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ოფთალმოლოგიური სერვისების განვითარებაში, ასევე სამეცნიერო და პედაგოგიური პერსონალის მომზადებაში, როგორც აზერბაიჯანში, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის საუკეთესო აკადემიურ დაწესებულებებში.

პლენუმმა დაამტკიცა ზარიფა ალიევას ინიციატივა აზერბაიჯანში მხედველობის ორგანოს პროფესიული პათოლოგიის კვლევის პირველი სპეციალიზებული ლაბორატორიის დაარსების შესახებ. 1979 წელს აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა მხედველობის ორგანოზე ფიზიოლოგიური, კლინიკური, ფუნქციური და ჰისტოლოგიური მექანიზმების ზემოქმედების შესწავლაზე დაბალი ინტენსივობის ტოქსიკური წარმოების ადგილებში. ეს ის ლაბორატორია იყო, რომელიც შეიქმნა ქალბატონი ზარიფას ინიციატივითა და ორგანიზებით. სამეცნიერო კვლევის შედეგად, ალიევამ გამოაქვეყნა რამდენიმე სახელმძღვანელო მონოგრაფია.

1981 წელს პროფესორ ალიევას მიენიჭა უმაღლესი პრემია ოფთალმოლოგიის სფეროს განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის – სსრკ სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ავერბახის ჯილდო. აღსანიშნავია, რომ ზარიფა ალიევა იყო პირველი ქალი, რომელსაც ეს ჯილდო გადაეცა.

1983 წელს, მას შემდეგ რაც ალიევა აირჩიეს აზერბაიჯანის ექიმთა კვალიფიკაციის გაუმჯობესების სახელმწიფო ინსტიტუტის ოფთალმოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად, მისი საქმიანობა კიდევ უფრო გაფართოვდა. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ზარიფა ხანუმის სამეცნიერო ინტერესები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მხედველობის ორგანოს პროფესიული პათოლოგიის პრობლემებით. მისი ნამუშევრების სერია მხედველობის ორგანოს ვირუსული დაზიანების შესახებ ასევე ცნობილია სამეცნიერო საზოგადოებისთვის. ამ სამეცნიერო ნაშრომების გამოყენებამ გააუმჯობესა რიგი დაავადებების დიფერენციალური დიაგნოსტიკა და გაზარდა მათი თერაპიული ღირებულება.

იმ პერიოდში ქალბატონმა ზარიფამ ჩაატარა საინტერესო კვლევები გლაუკომის ეტიმოლოგიის, დიაგნოზისა და მკურნალობის შესახებ. ინტენსიური და აუცილებელი კვლევის შედეგად გამოაქვეყნა არაერთი სამეცნიერო სტატია და ორი მონოგრაფია – „თვალის ჰიდროდინამიკური სისტემის ანატომიურ-ფიზიოლოგიური მახასიათებლები“ და „თვალის ნერვული გზების ცვლილება ასაკთან დაკავშირებით“.

მეცნიერის არაერთი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება მხედველობის ორგანოში ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას. ზარიფა ალიევას მონოგრაფიებმა დაქტრიოლოგიის შესახებ - „წყლიანი თვალების ფიზიოლოგია“, „წყლიანი თვალების მკურნალობა თანამედროვე ქირურგიული მეთოდებით“ მიიპყრო არა მხოლოდ ოფთალმოლოგების, არამედ ფიზიოლოგების ყურადღებაც.

ქალბატონი ზარიფა ალიევა არის ერთ-ერთი ავტორი წიგნისა „თერაპიული ოფთალმოლოგია“, რომელიც რჩება სამაგიდო წიგნად ყველა ოფთალმოლოგისთვის.

ქალბატონი ზარიფა ერთ-ერთია იმ მეცნიერთაგან, ვინც პირველად შეისწავლა დაავადების დიაგნოსტიკის განვითარება ახალი მიმართულებით (თვალის ბადურის შრის ცვლილებები, ირიდოდიაგნოზი) და ამ თემას არაერთი სამეცნიერო სტატია მიუძღვნა. ის არის ერთ-ერთი ავტორი ისეთი იშვიათი სამეცნიერო ნაშრომისა, როგორიცაა „ირიდოდიაგნოსტიკის საფუძვლები“. ეს წიგნი დღეს ექიმების პრაქტიკაში შეუცვლელი სამეცნიერო ინსტრუმენტია.

ზარიფა ალიევას მდიდარი პედაგოგიური, სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება ასახულია მონოგრაფიაში „ოფთალმოლოგიის აქტუალური საკითხები“ (პროფესორ ნ. შულპინასთან და ლ. მოშეტოვასთან ერთად). ამ წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ოფთალმოლოგებისთვის, ასევე სამედიცინო სასწავლო ფაკულტეტების მასწავლებლებისთვის.

1983 წელს პროფესორი ზარიფა ალიევა არჩეულ იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

აკადემიკოსი ქალბატონი მთელი ცხოვრების მანძილზე ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ საქმეს, იყო ყოფილი სსრკ მშვიდობის დაცვის კომიტეტის წევრი, აზერბაიჯანის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოება „ცოდნის“ (ბილიქ) დირექტორთა საბჭოს წევრი. ასევე იყო ჟურნალ „ოფთალმოლოგიური ამბების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ცხოვრების მანძილზე ალიევა დაჯილდოვდა არაერთი ორდენითა და მედლით და მიიღო აზერბაიჯანის დამსახურებული მეცნიერის საპატიო წოდება.

გარდა მთელი ამ სამეცნიერო საქმიანობისა, ქალბატონი ზარიფა ასევე იყო მზრუნველი დედა, მშვენიერი და ერთგული თანამგზავრი სიცოცხლისთვის. ალიევების კერაში ორი შვილი გაიზარდა – მშობლების ღირსეული შვილები, რომლებსაც გულში მუდამ აზერბაიჯანის სიყვარული აქვთ და ჩვენი ქვეყნის სიამაყედ ითვლებიან. ამბობენ, რომ დედას შვილი საკუთარ თავზე მეტად უყვარსო... ქალბატონი ზარიფა სწორედ ასეთი დედა იყო ღვთისგან ბოძებული შვილებისთვის. მისი მეუღლე, აზერბაიჯანის ეროვნული ლიდერი, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი, რომელთანაც მან გაიარა ცხოვრების აღმართ-დაღმართი, საკუთარი ენერგია და სიცოცხლე მიუძღვნა თავის ქვეყანას, ისეთ წმინდა საქმეს, როგორც მისი თავისუფლება და აღორძინება იყო.

სამწუხაროდ, ქალბატონმა ზარიფამ ვერ ნახა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ეს დღე. ის გარდაიცვალა მოსკოვში 1985 წლის 15 აპრილს, 62 წლის ასაკში. მან დატოვა ადამიანი, რომელიც იცავდა ქვეყანას, რომელსაც აზერბაიჯანი ჰქვია. მეუღლის გარდაცვალებამ დიდი შოკი გამოიწვია. ჰეიდარ ალიევმა, რომელსაც სიცოცხლესავით უყვარდა მეუღლე, მის არყოფნას ვერ ეგუებოდა. მართალია, ის ოდნავ გატყდა ამ ამბით, მაგრამ ცხოვრებას აგრძელებდა...

**ჰეიდარ ალიევი აზერბაიჯანის სიყვარულმა აცოცხლა. რადგან ის სჭირდებოდა აზერბაიჯანს. მხოლოდ მას შეეძლო ღრმა უფსკრულში ჩავარდნილი აზერბაიჯანის გადარჩენა. და მან ეს გააკეთა. ჰეიდარ ალიევმა დარჩენილი სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა. მან ყველაფერი გააკეთა აზერბაიჯანის განვითარებისთვის. თუმცა, თავის გვერდით ყოველთვის გრძნობდა მეუღლის სულს, მისგან იღებდა ძალას. 2003 წლის 12 დეკემბერს ჰეიდარ ალიევი გარდაიცვალა. ისინი ბედნიერები იყვნენ იმქვეყნად ერთმანეთთან შეხვედრით. მაგრამ მათი დაკარგვით მილიონობით ადამიანი დარჩა თვალცრემლიანი...**

**რენა გუსეინოვი**




# სისხლით ნაქსოვი სიყვარულის მემატიანე

**ამ სტრიქონების ავტორს ორიოდე წლის წინ ერთი უჩვეულო სპექტაკლის ნახვა მოუწია: ქუთაისელ მოსწავლეებს, რა თქმა უნდა, მოყვარულებს, ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობისადმი მიძღვნილი ცნობილი პიესა დაედგათ და ისე გატაცებითა და შთაგონებით თამაშობდნენ, რომ დარბაზში მსხდომთ თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ, აი ისეთი ცრემლი, რომელსაც ჭეშმარიტი სიყვარული, ერთგულება, მეგობრობა გინდა თანადგომა რომ იწვევს.**

იმ პიესას „ვალი“ ჰქვია და მისი ავტორი გურამ ბათიაშვილი გახლავთ, თვალსაჩინო ქართველი მწერალი – დრამატურგი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, კრიტიკოსი, რომელმაც ამ ნახევარი საუკუნის წინ შემოაბიჯა ქართულ მწერლობაში და თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მის ორგანულ ნაწილად იქცა.

გურამ ბათიაშვილი ქართველი მწერალია-მეთქი, მოგახსენეთ, თუმცა იგი ებრაელი ხალხის – ბიბლიის ხალხის წიაღში იშვა და გულის გულში აქვს ამოტვიფრული ფიცი, რომელიც ათასწლეულების წინ დადო ებრაელობამ – თუ დაგივიწყო იერუშალაიმ, დამიწდეს მარჯვენა ჩემი, ენა ჩემი მიახმეს სასას ჩემსას!..

დიახ, ბატონებო, ეს ებრაელთა ფიცია, საუკუნეების განმავლობაში რომ იცავდა მათ იდენტობას, მათ რწმენას და არ ავიწყებდა სამშობლოს – აღთქმულ ქვეყანას, საიდანაც ძალით გამორეკეს ეშმას მსახურებმა...

ამ ფიცს არც გურამ ბათიაშვილი ღალატობს და თავისი ცხოვრების წესით და ნირით ამტკიცებს, რომ ღირსეული შთამომავალია ბიბლიური პატრიარქების ერისა...

**გურამ ბათიაშვილი ქართველი მწერალია, საქართველოში დაბადებული, აღზრდილი, აქ დაირწა მისი ლიტერატურული აკვანი, აქ ეზიარა სიყვარულს, სიკეთეს, პატიოსნებას და გაიაზრა, რომ საქართველო მისთვის მზის კარავია, სადაც ცხოვრება ნებისმიერი მოკვდავისთვის პატივიცაა და უდიდესი პასუხისმგებლობაც...**

გურამ ბათიაშვილზე, როგორც მწერალზე, საუბრისას, უპირველესად, გვახსენდება ის, რომ მისი სახით ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურას პირველხარისხოვანი დრამატურგი ჰყავს, რომლის პიესებშიც მწერლური ძალმოსილებით აისახა, როგორც საქართველოს წარსულის, ისე დღევანდელობის არაერთი წყევლა-კრულვიანი პრობლემა, რომლებიც გვაღელვებს და სულს გვიფორიაქებს. ეს პიესები („მარჯანიშვილის ოთხი დღე“, „სტუმარი“, „ვალი“, „ლალი, სიყვარული და სხვები“, „1832 წელი“, „მარად და ყველგან“, „წერილები შვილებს“, „მიწა თუ სამშობლო“, „სიყვარული უსიყვარულოდ“...) სრულ თანხვედრაშია თანამედროვე თეატრალური ხელოვნების მოთხოვნებთან, იმ სტანდარტებთან, რასაც ჭეშმარიტი დრამატურგია ჰქვია. ქართული თეატრი წარმოუდგენელია გურამ ბათიაშვილის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებების გარეშე, განსაკუთრებით ეს ითქმის „ვალზე“, რომელიც ქართველი და ებრაელი ხალხების თითქმის სამიათასწლოვანი სამაგალითო მეგობრობისა და ძმობის დიად საგალობელს წარმოადგენს...

გურამ ბათიაშვილი ქართულ თეატრს დიდებული თარგმანებითაც შეეწია, ხოლო ქართული მწერლობის კლასიკოსის ნოდარ დუმბაძის პროზის მიხედვით შექმნილმა პიესამ „ცა რომ სარკე იყოს“, სიღნაღის ახალგაზრდულ თეატრში რომ დაიდგა, ტრიუმფით მოიარა კანადის, მექსიკისა და სლოვაკეთის თეატრალური ფესტივალები...

ამავე დროს გურამ ბათიაშვილი ჩინებული რომანისტია. ამ რომანებში („თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“, „მეათე კაცი“, „ჟამი დუმილისა, ჟამი უბნობისა“, „ერთი, მხოლოდ ერთი“, „ელიგულა და ხავა“, „მზის კარავში“) კიდევ ერთხელ გაცხადდა მწერლის ნიჭიერება, საგნებისა და მოვლენების ორიგინალური აღქმა, – კიდევ ერთხელ გაცხადდა ისიც, რომ გურამ ბათიაშვილი იმ ერის შვილია, ვისაც უფალმა უხვად დააბერტყა ღირსების გრძნობა და ეს გრძნობა ყველაზე დიდი საშიშროების დროსაც არ სტოვებს. ფიხო ფიჩხაძე – მისი ერთ-ერთი პერსონაჟი რომანიდან „მზის კარავი“ ამის საუკეთესო მაგალითია. რუსის დაუნდობელ გენერალთან შეხვედრისას, როცა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, როცა გულქვა და ამპარტავანი გენერალი სასიკვდილოდ გაიმეტებს, სწორედ მაშინ ვულკანური ლავასავით ამოიფრქვევა ებრაელი ხალხის ათასწლობით ნაგროვები ტკივილი, დარდი, ვაება და, ღირსებად ჩამოქნილი ეს გრძნობა, პირს დააღებინებს რუს სალდაფონს, რომ ისიც ადამიანია და სხვისი დარდის გაზიარების ვალდებულება გააჩნია...

გურამ ბათიაშვილი დიდებული მთარგმნელია. მან ქართველ მკითხველს გააცნო თურქული მწერლობის კლასიკოსების ნაწარმოებები, ხოლო ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებას მნიშვნელოვანი მონოგრაფია უძღვნა.

მისი ლიტერატურულ-კრიტიკული თუ პუბლიცისტური კრებულები ცხოველ ინტერესს იწვევს.

გურამ ბათიაშვილი, გამორჩეულად საყურადღებო საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არაერთი სამთავრობო ორდენითა თუ ლიტერატურული პრემიითაა დაჯილდოებული.

დიდი რომაელი მარკუს ავრელიუსი წერდა: **„ჯერ ერთი, არაფერი არ უნდა აკეთო უმიზნოდ და უმისამართოდ, მეორეც, ყველაფერი უნდა შეუთანხმო ერთადერთ მიზანს, ერთდერთ ჭეშმარიტ, საერთო და საყოველთაო სიკეთეს“.**

გურამ ბათიაშვილი ამ ბრწყინვალე შეგონებით სულდგმულობს, ხელმძღვანელობს, არსებობს, რადგანაც სრულად აქვს გასიგრძეგანებული, რომ სიკეთე ადამიანის შინაგან სამყაროში მზეს წარმოადგენს. და რახან მიაჩნია, რომ მზის კარავში – ივერთა მიწაზე ბინადრობს, სწორედ სიკეთის – ვეებერთელა მზის მსახური უნდა იყოს.

**გურამ ბათიაშვილს ახლა 85 წელი შეუსრულდა და ისღა დაგვრჩენია ვუსურვოთ, რომ მისი სათაყვანებელი ბიბლიური პატრიარქების ასაკამდე მიეღწიოს. მტკიცედ მწამს, რომ იგი კიდევ ძალიან დიდხანს იდგება ქართული მწერლობის ავანგარდში, როგორც ამ დიდი ფენომენის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი, როგორც ერთი კელაპტარი ქართველი და ებრაელი ხალხების მარადიული ძმობის და მეგობრობისა, რომელმაც თავისი ვალი მოიხადა ქართველი და ებრაელი ერების წინაშე და მისი ეს წიგნი „ვალიც“ ამის დასტურია.**

**მრავალჟამიერ – ლეხაიმ, ბატონო გურამ!..**

**ზაალ ბოტკოველი**

# ევროპა ჩინეთს ვერაფერს უკარნახებს!




**პრეზიდენტმა ბაიდენმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ტრამპისაგან განსხვავებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან დაახლოების პოლიტიკა გააქტიურა, რომლის მიზანი რეგიონში მყარი ანტი-ჩინური კოალიციის შექმნაა.**

ისტორიულად, ეს ქვეყნები ზე-სახელმწიფოებთან ნეიტრალურ ურთიერთობას ამჯობინებენ, მაგრამ, ჩინეთიც და ამერიკაც, მუდმივად მათ გადაბირებას ცდილობენ. რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის ამერიკის მხარეს გადასვლა ჩინეთის ექსპანსიური პოლიტიკის შედეგია, რომელიც სამხრეთ-ჩინეთის ზღვას თავის გეოსტრატეგიული გავლენის სფეროდ მოიაზრებს, ამ ზღვის ზოგიერთ კუნძულს კი, თავის ტერიტორიად. ამის გამო ჩინეთს ურთიერთობა დაეძაბა მალაიზიასთან, ბრუნეისთან, ინდონეზიასთან, ვიეტნამთან და ფილიპინებთან. ეს ქვეყნები არ ეგუებიან ჩინეთის გავლენას სამხრეთ-ჩინეთის ზღვაზე.

დავა არახალია, მაგრამ ოცდამეერთე საუკუნეში კიდევ უფრო გამძაფრდა, რაც, ზოგადად, ჩინეთის გაძლიერებას უნდა მივაწეროთ. რეგიონის ქვეყნები ცდილობენ ჩინური ძალა ამერიკულით გააწონასწორონ. ამ ქვეყნების უმრავლესობის, მათ შორის, ფილიპინების, მთავარი სავაჭრო პარტნიორი, ტრადიციულად, ჩინეთია, მაგრამ, ამავე დროს, ფილიპინებს ამერიკასთან ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. 1970-იან წლებში, ფილიპინებს დიქტატორი მარკოსი მართავდა, რომელიც ამერიკას გარანტიას აძლევდა, რომ ფილიპინებს არასოდეს არ გადაედებოდა კომუნიზმი.

სწორედ, ამიტომ უჭერდა მას მხარს ამერიკა. მარკოსის ჩამოგდებით, ფილიპინებში ანტი-ამერიკული ტენდენცია გაიზარდა. ურთიერთობა მათ შორის 2016 წლიდან, პრეზიდენტ დუერტეს დროს დაიძაბა. 2022 წელს, ფილიპინების სათავეში დიქტატორ მარკოსის შვილი, ფერდინანდი, მოვიდა. მან დამაჯერებლად მოიგო არჩევნები და მაშინვე შეუდგა ამერიკასთან ურთიერთობის გაჯანსაღებას. უკრაინის ომმა და ტაივანთან დაკავშირებულმა დავამ ჩინური ექსპანსიური პოლიტიკის მიმართ ფილიპინელებში შიში გააღვივა.

ამიტომ, ფილიპინების მთავრობამ ანტი-ჩინურ კოალიციაში გადაბარგება დაიწყო, რასაც, ამერიკის მთავრობა ხელგაშლით შეხვდა. ორ ქვეყანას შორის, ყველა დონეზე გააქტიურდა ურთიერთობა. ფილიპინებს ამერიკის მაღალი რანგის პოლიტიკოსები ეწვივნენ: სახელმწიფო მდივანი ბლინკენი, ვიცე-პრეზიდენტი ჰარისი და თავდაცვის მინისტრი ოსტინი. ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს, მათ შორის, ფილიპინების თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ, რითაც, ამერიკა გარანტიას აძლევს ფილიპინელებს, რომ ყველა სადავო საკითხში მათ მხარეს იქნება, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალითაც. ასევე, დაიდო ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვით, ამერიკა არმიის გადაიარაღებაში დაეხმარება ფილიპინებს და მის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტს გაზრდის.

ფილიპინების კონსტიტუციით, ქვეყანაში უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები არ უნდა არსებობდეს, მაგრამ, აქაც გამოინახა გამოსავალი. არმიის წვრთნის მიზნით, ამერიკის სამხედრო კონტინგენტი ქვეყანაში როტაციის პრინციპით იმუშავებს. მოლაპარაკება შედგა ფილიპინებში ყოველწლიური ერთობლივი სამხედრო წვრთნების თაობაზე. შარშან, უკვე, ჩატარდა ასეთი წვრთნები. ახლა კი, ფილიპინების ისტორიაში ყველაზე დიდი ერთობლივი სამხედრო წვრთნები მიმდინარეობს, რომელშიც 17 ათასზე მეტი ჯარისკაცი მონაწილეობს. ორკვირიანი სწავლების დროს, მანევრები ჩატარდა სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში. ღონისძიება დაემთხვა ჩინეთის არმიის წვრთნებს ტაივანის გარშემო წყლებში.

ჩინეთის მხარემ, უკვე, გამოთქვა შეშფოთება რეგიონში ამერიკის გააქტიურების გამო. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მწვავედ გააკრიტიკა ამერიკა-ფილიპინების ერთობლივი წვრთნები და განაცხადა, რომ ამერიკა არ უნდა ჩაერიოს სამხრეთ ჩინეთის ზღვის აუზში არსებულ დავებში და ზიანი არ უნდა მიაყენოს ჩინეთის ტერიტორიულ სუვერენიტეტს, მის საზღვაო უფლებებსა და უსაფრთხოების ინტერესებს. ფილიპინებს აზიის სხვა ქვეყნებიც ამოუდგნენ მხარში. მაგალითად, ავსტრალიამ და იაპონიამ სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციაში აღუთქვეს დახმარება. ასევე, იაპონიამ და ფილიპინებმა ხელი მოაწერეს უსაფრთხოებისა და თავდაცვის დარგში მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

# „თანაბარი მკერდი ყველასთვის“!



**გერმანიაში, ფემინისტთა ერთი ჯგუფი ზეიმობს, რადგან, ფიქრობენ, დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან, გერმანიის ბევრ ქალაქში, საცურაო აუზებზე, ქალებს ლიფის გარეშე ბანაობის ნება დართეს. მანამდე, კანონით, ქალიც და კაციც, აუზზე მხოლოდ ზოგადად მიღებული საცურაო კოსტიუმით უნდა გამოჩენილიყვნენ. გერმანელი ფემინისტები ამ წესს აპროტესტებდნენ იმ მოტივით, რომ თუ მამაკაცს აქვს ზედატანის მოშიშვლების უფლება, ქალსაც იგივე უნდა შეეძლოს.**

პირველ ასეთ ინციდენტს 2021 წელს ჰქონდა ადგილი, როცა ბერლინში მცხოვრები ერთი ქალბატონი, თავის პატარა შვილთან ერთად, აუზზე მივიდა და ულიფოდ შეცურა აუზში, რის გამოც, ის დაცვამ აუზიდან გააძევა. ამ ინციდენტის შემდეგ, ამ ქალბატონმა, სხვა ფემინისტებთან ერთად დააარსა მოძრაობა, სახელწოდებით, „თანაბარი მკერდი ყველასათვის“. მოძრაობა მკერდის დესექსუალიზაციას ითხოვდა. მათ ბერლინში, შიშველი მკერდით, ველოსიპედებით მსვლელობა მოაწყეს. ასეთი შემთხვევები გერმანიის სხვა ქალაქებშიც აღინიშნა. მსგავსი რამ, ბოლოს, 2022 წლის დეკემბერში მოხდა, როცა ბერლინის პოლიციამ ფემინისტი-აქტივისტი, ვინმე ქალბატონი ლოტე, დააკავა, რადგან ის ქალაქის აუზის წესებს არ ემორჩილებოდა. მან, სხვა აქტივისტებთან ერთად, სასამართლოში იჩივლა. ადვოკატმა საქმის სამართლიანობა იმით დაასაბუთა, რომ გერმანიაში ანტი-დისკრიმინაციული კანონი მოქმედებს, და ასეთი აკრძალვა აუზზე, ქალის დისკრიმინაციას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, მათ აქვთ უფლება აუზზე იარონ ისე, როგორც გაეხარდებათ. „დაზარალებულმა“ ქალბატონმა ლოტემ გერმანიის მასმედიას განუცხადა, რომ აუზის თანამშრომლები მას მოექცნენ, როგორც მეორეხარისხოვან ადამიანს, რაც ძალიან არასასიამოვნო და უკიდურესად დამამცირებელი იყო, ანუ, არ მისცეს ნება, დამოუკიდებლად გადაეწყვიტა თუ რას და როგორ ჩაიცვამდა აუზში. ჩემი სხეული მე მეკუთვნის და არა სხვას, ამიტომ, მე თუ ვთვლი, რომ ლიფი არ უნდა მეცვას, ესე იგი, არ უნდა მეცვას.

მე არ მინდა მრცხვენოდეს ჩემი მკერდის. ჩვენ, ქალები, მუდმივად, კაცების სექსუალურ წესებს ვემორჩილებით. ამიტომ, აღარ მინდა ამის მოთმენა, თქვა მან. რამდენიმე თვეში, გერმანიის სასამართლომ ქალბატონი ლოტეს საჩივარი დააკმაყოფილა. მის გამარჯვებას სხვა ფემინისტებიც შეუერთდნენ. ჩაითვალა, რომ ქალბატონ ლოტეს გამარჯვება ტრიუმფია ყველა ფემინისტისთვის. მე კი, ასე ვიტყოდი: კონვენციურობა, ჯერ კიდევ, ბევრ რამეს განსაზღვრავს თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში.

ეს შეგრძნება პირველად მაშინ მეწვია, როცა, ამერიკაში, სტუდიამ ნუდისტების ბანაკში გამიშვა სიუჟეტის გადასაღებად. სიმართლე გითხრათ, მე ვიყავი ის ერთადერთი ადამიანი იმ პარკში, ვისაც სიშიშვლის რცხვენოდა. და, ალბათ, ეს იყო ჩემს ცნობიერებაში გამყარებული პირობითობის გავლენა. სულ სხვა საკითხია, კარგია თუ ცუდი ის კონვენციები, რომელსაც ცხოვრებამ შეგვაჩვია, არ ვიცი!



**ნუგზარ ბ. რუხაძე.**
POSTV

**ზაზა პაპუაშვილი:**

# ჩემს ქვეყანაში არ დაინომრება მშობლები, არ შეურაცხვყოფთ ღვინოს, ეკლესიას, რწმენას!..



(მესამე გვერდიდან)

**– სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიაში ჩართული იყო სახელისუფლებო ვერტიკალი და გამოყენებული იქნა ყველა რესურსი. თქვენც იყავით ამ კამპანიაში ჩართული, მაგრამ არჩევიდან ძალიან მალე საზოგადოებამ მიიღო რადიკალურად განსხვავებული პრეზიდენტი. როგორ ხსნით პეზიდენტის ფერიცვალებას?**

– პრეზიდენტმა კარგად უნდა წაიკითხოს კონსტიტუცია და მისი უფლება-მოვალეობები. მას ისეთი ამბიციები გაუჩნდა, რომელიც არ არის გაწერილი კონსტიტუციაში. მახსოვს, როდესაც შვილმკვდარი დედები მივიდნენ პრეზიდენტთან, მეც ვიყავი იმ აქციაზე და ვხედავდი როგორ უტიფრად და თავხედურად იმეორებდა ერთ სიტყვას სამჯერ – „რომ მომივარდით“! „რომ მომივარდით“, „რომ მომივარდით!“ ის, ძალიან კარგად ჭუკჭუკებს ნაცფაშიზმს – ბოლშევიკურ ბანდის წევრებთან.

რუსთაველზე 30 აპრილს მისი ამომრჩევლები იდგებიან, სხვა იქ ვერ მოვა და არც მოვა. ადამიანებს, რომლებმაც პირადად ის აირჩიეს, მოვუწოდებ, რომ უკან წაიღონ საკუთარი ხმები, რომ მას არ ჰქონდეს სახალხო ლეგიტიმაცია, მას არ უნდა ჰქონდეს უფლება ილაპარაკოს ხალხის სახელით. როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ დაინახონ ჩვენმა პარტნიორებმა ვინ ვართ, რა მოსაზრებები გვაქვს, და რა პოზიციები გაგვაჩნია, რას ვეთანხმებით და რას – არა. მარტო არასამთავრობოების და ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით საქართველო ვერ იცხოვრებს. ვერც მათი დღის წესრით ვერ იცხოვრებს ეს ქვეყანა. ამდენ რყევაში და დაძაბულობაში ქვეყნის ყოფნა არ შეიძლება! ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამ დღის წესრიგიდან, ჩვენ მეტი უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას, ოღონდ ადეკვატურად, რომ გავერთიანდეთ. როცა ხელისუფლება, სახელისუფლებო შტოები, ადამიანები გაერთიანდებიან, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს. სულ 5-6 თვეა საჭირო, რომ გავუძლოთ იმ შემოტევებს, რა ცეცხლიც წაკიდებული აქვს მთელს მსოფლიოს და ანგარიში გავუწიოთ იმას, რაც ჩვენს გარშემო ხდება. ამის გაუთვალისწინებლობა სიბეცეა.

ამიტომ გვჭირდება, ადეკვატური, ჭკვიანური და გონიერი გადაწყვეტილებების მიღება და რა არის ამაში მიუღებელი?!

**– ის, რომ დღეს „ნაცმოძრაობამ“ თავი მაღლა აწია და ცდილობს ხელისუფლებაში მობრუნებას, ის, რომ პარტიის ლიდერი „ვივამედში“ რჩება და არ ჭამს მხოლოდ იმიტომ, რომ აშანტაჟებს ხელისუფლებას, რათა ამ გზით დააღწიოს თავი ციხეს და მოსალოდნელ სასჯელს, ეს ხომ ხელისუფლების ბრალია?**

– ასემც უქნია, სულ ნუ უჭამია, ეგ არ გვადარდებს! იმ ყველაფრის ფონზე, რაც საქართველოს მოსახლეობას დამართეს, იმასთან შედარებით რა სახსენებელია ამის კვება! მოკიდეთ ყურებში ხელი და გადაიყვანეთ ციხეში, ეს კრიმინალი, ქვეყნის დამაქცევარი! რაც შეეხება ხელისუფლებას, ის თავის წილხვედრ კრიტიკასაც მიიღებს. ხელისუფლებაში ყოფნა და მით უმეტეს ასეთ ვითარებაში იოლი არ არის. ამიტომ, ამ ერთიანობამ უნდა მოიტანოს გარკვეული კომპლექსების თუ შიშის დაძლევა, რომ მივიღოთ ადეკვატური გადაწყვეტილებები.

რასაკვირველია, ამათ წამოყელყელაობაში ხელისუფლებას გარკვეული ბრალი მიუძღვის. მან უნდა გააცნობიეროს ეს და ყველანაირი ძალები მომართოს იმისკენ, რომ ეს შეცდომები გამოსწორდეს. ვიაროთ იდეების და რეფორმების გზით! ვაი, ის რას იტყვის და უი, ეს რას გააკეთებს... უი და ვაის დრო არ არის! გაქვს კანონი, გაქვს კონსტიტუცია და რაც ეკუთვნის უნდა მიეზღოს ყველას.

**– რას ელოდებოთ ამ აქციის შემდეგ?**

– ჩვენი ხმა ისმის აფხაზეთში, ჩვენი ხმა ისმის ცხინვალის რეგიონში, ყველა ჩვენგანი ჭკვიანი და გონიერი გადაწყვეტილებების მომხრეა, ეს საქართველოსთვის წითელი ხაზებია. საქართველო უნდა იყოს მთლიანი და მოხდეს ისეთი ინტეგრაცია, სადაც ფასეულობები, ოჯახი, სწავლა-განათლება, ჯანმრთელობა ყველას თანაბრად გაუნაწილდეს. ანუ, მშვიდობა უნდა იყოს! მე არ ვამბობ, რომ ეს საკითხები ერთი შეკრებით გადაწყდება, მაგრამ საფუძველი უნდა დავუდოთ ცვლილებებს და ერთიანობას. აქ ლაპარაკია სამშობლოზე და მის სუვერენიტეტზე! ჩვენი წინაპარი გვეუბნებოდა – მამული, ენა, სარწმუნოება! შემდეგ სამება გააძლიერა პატრიარქმა – ღმერთი, სამშობლო, ადამიანი!

ყველას თავისი სათქმელი სამება უნდა ჰქონდეს. უნდა ვილაპარაკოთ ქართულ ინტერესებზე. მეგობრების კარგ იდეას არ უარვყოფთ, არავისთან ხიდს არ ვწვავთ, მაგრამ ჩემგან ნუ მოითხოვთ იმის წაშლას, რაც ჩემი წინაპრებისგან დამხვდა! მე ამაში არ გამოგყვებით! ეს არის ჩვენი სავიზიტო ბარათი - ვიმეგობროთ და ერთმანეთის საყრდენები ვიყოთ. ამიტომ, მიმიღეთ ისეთი, როგორიც ვარ. კაცობრიობა გვერდს ვერ აუვლის საქართველოს როგორც კულტურულ ფენომენს. ამიტომ, ჩვენ მოვდივართ და მოვდივართ იმიტომ, რომ საქართველო უპირველეს ყოვლისა! აი, აქედან უნდა დავიწყოთ და ამას უნდა გავუფრთხილდეთ!

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

## ასე იტყოდა ლევ ლანდაუ

# „ჩემს ცხოვრებაში წუთი რა არის, წუთიც არცროდის არსად არ დამიგვიანია“



**ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა**

## ...ადამიანებზე

თუ რამე ვერ გაიგე, ერთხელ კიდევ წაიკითხე. თუ ვერც ხუთჯერ წაკითხვის მერეც ვერ გაიგე, მაშასადამე, რეგვენი ხარ.

* * *

ბონიერმა კაცმა, ვისაც ცხოვრებაში ბედნიერების მიღწევა სურს, რაც შეიძლება შორს უნდა დაიჭიროს თავი იმ ამოცანათაგან, სახელმწიფოს რომ აქვს დასახული, მით უმეტეს საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც განსაკუთრებით შევიწროებაზეა აგებული.

* * *

შენი სპეციალობა, შენი პროფესია უნდა გიყვარდეს. მხოლოდ მაშინ ხარ ბედნიერი, როცა შენი პროფესია გიყვარს. თანაც კიდევ სიამოვნებით შრომობ.

* * *

სანამ სხვა ადამიანს განსჯიდე, ეცადე, იმის ადგილას წარმოიდგინო თავი, შენ როგორ მოიქცეოდი იმის მდგომარეობაში მყოფი.

* * *

ამჟამად განათლება ყველა პროფესიისთვის სავალდებულოა. გაუნათლებელი ყოველთვის რაღაცით მეორე ხარისხის ადამიანი იქნება.

* * *

იყავი უკიდურესად პატიოსანი! ნუ იქნები ბაცაცა!

* * *

რატომ არიან მომღერალნი აგრერიგად ტუტუცნი? შერჩევა სხვა ნიშნით ხდება.

* * *

ადამიანთ ჯიუტად არ უნდათ იმის გაგება, რომ ბედნიერება ჩვენშია. ყველას ყველაფრის გართულება უყვარს, მე კი, პირიქით, მუდამ სიმარტოვეს ვესწრაფი. არ ეგების ცნებების „რთულისა“ და „ძნელის“ ერთმანეთში არევა. უნდა ვისწავლოთ აზროვნება, უფრო მეტიც, ჩვენს აზრებზე ბატონობა. მაშინ არცრა უსაგნო შიში შეგვიპყრობს და არცრა განგაში.

* * *

ადამიანს იქ შეუძლია შეგნებულად მუშაობა, სადაც წარმოსახვა არ მისდევს.

## ...ქალებზე, მამაკაცებზე, სიყვარულსა და ქორწინებაზე

ქალები ლანდაუს ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ. ის მუდმივად, როგორც იტყვიან, ძიებაში იყო. კორას ცოლობასაც კი არ ჰპირდებოდა. ლანდაუს თეორიის თანახმად, ვისაც პირადი ცხოვრების აწყობა უნდა, ის მუდამ თავისუფალი უნდა იყვეს, ქორწინება კი ამას ხელს უშლის. ამ თავისი თეორიის გასამაგრებლად, იგი იშველიებდა ადმირალ ნახიმოვს, რომელიც ჰგონებდა, რომ მეზღვაურს ცოლი არ უნდა მოეყვანა, რადგან თავი ზღვას უნდა მიუძღვნასო, ხოლო მეცნიერი – მეცნიერებას უნდა შეეწიროსო.

მაგრამ ლანდაუმ მაინც მოიყვანა ცოლი, ვინაიდან უნდოდა, რომ თავხსნიერი შვილი ჰყოლოდა. ოღონდ ცოლთან ფრიად თავისებური ურთიერთობა ჰქონდა. ბევრი „ნორმალური“ ქმარივით ღალატს არ ამხელდა. სიყალბეში ცხოვრება არ შეეძლო. მაგრამ ერთგულებას ინარჩუნებდა.

„თავდაუსხმელობის საქორწინო პაქტის“ შესაბამისად, ოჯახის მთელი ფულადი შემოსავალი შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 60 პროცენტი ცოლს ოჯახის სუყოველი მოთხოვნილებისთვის, ქმრის ჩათვლით, 40 – ქმარს პირადი სარგებლობისთვის.

– კორუშა, – ეუბნებოდა ხოლმე ცოლს, – უნდა იცოდე, რომ ჩემს 40 პროცენტს ფილანტროპიას დავახარჯავ, დავეხმარები მოყვასს და ბუნებრივია, იმ გოგოებს, რომელთაც შევხვდები ხოლმე. სიყვარული წმინდა და უანგაროა. სიყვარულის ყიდვა მომაკვდინებელი ცოდვაა, ასე რომ, გოგოებს სუყველაზე ცოტა შეხვდებათ: ყვავილები, შოკოლადი, თეატრი. მე ისე მიყვარხარ, ჩემო კორუნა, რომ სხვა ქალების შეხედვაც კი არ მინდა. შენთან შედარებით, ყველა წაგებულია! მაგრამ საყვარელი აუცილებლად მეყოლება!

კორა საპასუხოდ ჰპირდებოდა, კი, ბატონო, სულაც არ ვიეჭვიანებო.

იგი იძულებული იყო შეჰგუებოდა პიროვნების თავისუფლების თეორიას, რადგან გენიალური ფიზიკოსი სცენებს ვერ იტანდა.

თუ ლანდაუს ეკითხებოდნენ, რა არის შენი გატაცების საგანიო, პასუხი მზად ჰქონდა – ქალიო.

თუ ვინმე მომაბეზრებელი გოგო გადაეკიდებოდა, ეკითხებოდა – ქმარი გყავსო? არაო, რომ გაიგონებდა, ახლა შვილებზე ეკითხებოდა, რამდენი შვილი გყავსო. თანხმობის შემთხვევაში ახალი კითხვა მზად ჰქონდა: „ვისგანო?“ და ის გოგოც თავს ანებებდა.

ხოლო თუ ის გოგო უშვილო იყო, გაკვირვებული ეკითხებოდა, როგორ ახერხებ, რომ შვილს არ აჩენო?

* * *

ქალები თაყვანისცემის ღირსნი არიან ბევრი რამისთვის, განსაკუთრებით კი დიდი მოთმინებისთვის.

* * *

უმშვენიერესი სიტყვაა „სიყვარული“. პოეზია დაჰკრავს, ამ სიტყვის ფესვი „სიყვარულია“ და ქორწინებას არ ეწყვილება! ქორწინება თავისებური ბორკილია!

* * *

მოკრძალება ამშვენებს მხოლოდ ყმაწვილქალს, ისიც 12 წლამდე.

* * *

დარწმუნებული ვარ, კაცებს შვილის გაჩენა რომ შეძლებოდათ, კაცობრიობა აქამდე გადაშენებული იქნებოდა.

* * *

ცოლის მოყვანა შეიძლება სიბრიყვით ანდა წვრილმანი საყოფაცხოვრებო, ანდა მატერიალური მოსაზრებისდა გამო, რაც მე არამც და არამც არ ძალმიძს.

* * *

პარიზი ის ქალაქია, სადაც უცოლოდ უნდა წახვიდე!

* * *

მე მხოლოდ ჯავარსრულ ქალთან დაახლოება შემიძლია.

* * *

ადამიანს სახე ხანისად დათვს მიუგავს, ვცდილობ, ასეთ ადამიანებს არ შევხედო.

* * *

ბებიაჩემს ულვაშები რომ ჰქონოდა, ბებია კი არა, პაპაჩემი იქნებოდა.

* * *

ქალებმა ვინმე თაყვანისმცემელნი უნდა გაიჩინონ და იარშიყონ! რა უნდა ექნათ საწყალ კაცებს, სუყველა ცოლი ერთგული რომ ყოფილიყო?!

* * *

ქალებს არცრა ქალური სილამაზისა არ გაეგებათ. ქალების სილამაზის დაფასება მხოლოდ კაცებს შეუძლიათ, ისიც არა ყველას! ნამდვილი ქალური სილამაზე ბუნების იშვიათი და ძალზე ღირებული რამ არის, ჭეშმარიტად ღვთიური საჩუქარია! უფრო მეტია, ვიდრე ნიჭი.

* * *

რქიანი კაცების სიმბოლური „რქების“ მომხრე ვარ: სუყოველ რქიან მამაკაცს არ შეუძლია რქების ღირსეულად ტარება: არც არასოდეს გარქიანდები, თუ შენი ცოლი არ არის ლამაზი, თვალწარმტაცი, ბოლოს და ბოლოს, მომაჯადოებელი.

* * *

ბედნიერება ნამეტანი პირადი კატეგორიაა, რასაც დაუშვებლად მიაჩნია განზოგადებული, უპიროვნო მიდგომა.

* * *

ქალს მარტო ხელებითა და ფეხებით არ ვზომავ, ანუ არც მეხელე ვარ და არც მეფეხე. მე ვაღმერთებ და თაყვანს ვცემ მთლიან ქალურ სილამაზეს. ქალი თავით ფეხებამდე სულ ლამაზი უნდა იყვეს.

* * *

ცივილიზებულ საზოგადოებაში ეჭვიანობა დაუშვებელია, ადამიანური ნამდვილი კულტურა და ეჭვიანობა შეუთავსებელია. მე კულტურული კაცი ვარ!

* * *

სუყოველ საყოფაცხოვრებო საქმეს ასევე მკაცრად უნდა მოგვარება, როგორც რომ მეცნიერულ საკითხს.

* * *

ლანდაუ – ცოლს:

შენი სხეული ჩემი საკუთრებაა და ვერ მოგცემ იმის ნებას, რომ დაუდევრად მოექცე იმას, რაც ჩემთვის ძვირფასია.

* * *

ლამაზი გოგო ძნელი საპოვნელია, ათვისება კი ბევრად უფრო ძნელია.

* * *

როცა ძაღლი ეჩვევა თავის პატრონს, ამბობენ, ნახეთ, როგორ უყვარს მაგ ძაღლს თავისი პატრონიო. სწორედაც ასეთი ძაღლური სიყვარული-მიჩვევა ჩნდება ქორწინების მერე ცოლ-ქმარს შორის.

* * *

კარგ საქმეს ქორწინებას ვერ დაარქმევ.

* * *

ნერწყვი მხოლოდ ლამაზი გოგოს დანახვისას მომდის.

* * *

ქორწინება კოოპერატივია და სიყვარულთან არცრა კავშირი არა აქვს, ხოლო ქალი, რომელიც ქმარს ირთავს, კოოპერატიულ შანტაჟს ეწევა.

* * *

მეც იმდენივე საზრუნავი რომ მქონოდა, რაც ქალს აქვს, ფიზიკოსი ვერ გავხდებოდი.

* * *

ქმარი ბედნიერი ვერ იქნება, თუ უბედური ცოლი ჰყავს.

* * *

იოგლიანად დაქორწინება იგივეა, რომ გველებით სავსე ტომრიდან ანკარა ამოაძვრინა.

* * *

სტატისტიკა მოვივარგე: ყოვლის უკეთესი გოგოები მიმტანები არიან, მაგრამ ვაი, რომ იმათ არ მოვწონვარ.

* * *

უცნაური ამბავია: ქალები აგრერიგად ბევრ დროს უთმობენ თავიანთ ტუალეტს, რა არის ყველაფერი მოდურად ჰქონდეთ, და ასე ცოტა ყურადღებას აქცევენ სახის გამომეტყველებას, რაც სუყოველ მორთულობაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

* * *

კინოთეატრები თითქოს იმიტომ არის შექმნილი, რათა იქ აუთვისებელი გოგოები ვატაროთ! მერე რა მოსახერხებელი ადგილია საჯუჯგნად.

* * *

თავისუფალ ქვეყანაში თავისუფალი ქალი თავისუფლად უნდა მოექცეს თავის სხეულს.

* * *

საყვარელს ქმრის შიში უნდა ჰქონდეს, სხვაგვარად გათავხედდება!

* * *

ტუტუც გოგოებს რა გამოლევს, მაგრამ ის ფენომენალურად ტუტუცია.

* * *

პირველი, რასაც ესწრაფვის გოგო, თმის ვარცხნილობით დაუშნოებაა.

* * *

ძალიან მეშინია, კორა, ემანდ უცებ არ ადგე და გარდასულს არ დაუბრუნდე. როსტოვში ნამდვილად ვერ წამოგყვები, იქ ფიზიკოსები არ არიან, იქ ვერ ვიმუშავებ!

* * *

ბევრმა დამიპირა ცოლობა, მაგრამ სილამაზე აკლდათ.

## ბინის კეთილმოწყობის თაობაზე

პატარა აივნიან ოთახში ზემოთ დავდგით ტელეფონი. იქ კარი მჭიდროდ იკეტება, როცა მე ჩემს გოგოებს გავუბამ საუბარს, შენ ვერ გაიგონებ, ხოლო, როცა შენ დაელაპარაკები შენს თაყვანისმცემელთ, მშვიდად იყავი, ვერავინ ვერ გაიგებს.

* * *

ქალებს სწავლა უყვართ.

* * *

ქალის კეკლუცობა ძალიან მნიშვნელოვანია ათვისების ჟამს, ათვისებულის კეკლუცობა კი უმნიშვნელო რამ არის.

* * *

ალბათ, არცრაა ლამაზ ქალზე მშვენიერი, ხოლო ყოვლის უფრო საგულისხმო და საგულისყურო, ცხადია, მეცნიერებაა, ყოვლის უფრო მშვენიერი კი – ქალის სილამაზე.

* * *

ერთხელ ლანდაუს ჰკითხეს, როგორ შეაფასებდი გამოცდაზე ლამაზი ქალიშვილის ცოდნასო, ლანდაუ დაფიქრდა და მიუგო:

– ლამაზები ისე იშვიათად გვხვდებიან, რომ, რასაკვირველია, მაღალ ნიშანს დავუწერდიო. სად არის, მოვიდესო.

* * *

ქალების კლასიფიკაცია ლანდაუს მიხედვით:

– ლამაზები, შეხედავ და თვალს ვეღარ მოაშორებ (კინოვარსკვლავი ანი ოდრა, ნაცრისფერთვალებიანი ქერა, მერილინ მონროს მსგავსი).

– კოხტა ქერათმიანი ქალები, ცოტა პაჭუაცხვირიანი.

– ბევრი არაფერი ქალები, მთლად არა შეუხედავნი, მაგრამ არც ცქერა რომ შეიძლება.

– აჯობებს, რომ სულ არ უცქირო („კაცს არა, ოღონდ ცხენს რომ დააფრთხობს“).

– გულმიუვალი, შეხედვა რომ არ გინდა.

შენი დაუ“.

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33, 36**




საშვილიშვილოდ!

# საქმე ქართული

**საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“, მის მიერ აშენებული სარაგბო ინფრასტრუქტურა ქართულ რაგბის ოფიციალურად გადასცა, რწმენით, რომ კავშირის ადმინისტრაცია ამ უზარმაზარ პოტენციალს შემდგომშიც სათანადოდ წარმართავს და ახალ ისტორიულ გამარჯვებებს მოუტანს საქართველოს.**

„ქართუმ“ რაგბის მხარდაჭერის პროგრამა 2009 წელს დაიწყო, რაც სხვა სიკეთეებთან ერთად ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში სარაგბო ბაზებისა და მოედნების მოწყობას ითვალისწინებდა. შედეგად, 2011-2018 წლებში, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით საქართველოში 14 სარაგბო ბაზა მოეწყო – 27 მოედნით, 2 აკადემიით და 5 სასტუმროთი. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს სარაგბო ბაზის მოწყობა ზუგდიდში.

აღსანიშნავია, რომ „ქართუ“ ამ ბაზების გამართულ მუშაობას თავადვე აფინანსებდა, ცოტა ხნის წინ კი რეაბილიტაცია ჩაუტარდა „შევარდენისა“ და „ავჭალის“ სტადიონებს, რამდენიმე მოედნის განახლება კი ამჟამადაც მიმდინარეობს.

მთლიანობაში, სარაგბო ინფრასტრუქტურის შექმნასა და მოვლაში ფონდის მხრიდან რამდენიმე ასეული მილიონი დაიხარჯა, რაც მსოფლიო რაგბიში უპრეცედენტო მოვლენაა და მსოფლიო რაგბიმ „ქართუს“ დამფუძნებელს, ბიძინა ივანიშვილს, რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური პრიზიც გადასცა.

„ქართუს“ მიერ რაგბის კავშირისთვის ბაზების გადაცემის ოფიციალური ცერემონიალი ახლახან „შევარდენის“ რეაბილიტირებულ სანაკრებო ბაზაზე გაიმართა, სადაც ბორჯღალოსნები (ეროვნული და 20-წლამდე) მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან. ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ვეტერანი მორაგბეები და უცხოელი სტუმრები – ბრიტანული, მსხვილი საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლები ტორ მაკლარენი და ენდი ქოული, ასევე ეროვნული ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი მანაგაძე, რომელიც ამჟამად ბრიტანეთში მოღვაწეობს.

„დღეს ოფიციალურად ვიწყებთ საქველმოქმედო ფონდ „ქართუსგან“ 14 სარაგბო ბაზის გადაცემის პროცედურას და ეს დაახლოებით 1 წელს გაგრძელდება, რის შემდეგაც სტადიონები და მოედნები კლუბებს გადაეცემა. მადლობა „ქართუს“ ამ უზარმაზარი სიკეთისთვის, რომლის ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონს აღწევს. ეს მხარდაჭერა უკვე აისახა ხარისხში და საქართველომ 2022 წელს ორი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა – იტალიასთან და უელსთან, თუმცა ღრმად მწამს, წინ კიდევ არაერთი ისტორიული გამარჯვება გველოდება.

ჩვენი და ფონდის თანამშრომლობა ამით არ სრულდება და მომავალშიც გაგრძელდება, ამჯერად უკვე ბავშვთა და სასკოლო რაგბიში, რათა გაიზარდოს მოთამაშეთა რაოდენობა და კიდევ უფრო წინ წავიყვანოთ როგორც ქართული რაგბი, ასევე ჩვენი ქვეყანა. ასეთ ბაზებზე სულ უფრო მეტი ბავშვი ჩაერთვება რაგბიში. ზემოთნახსენები ისტორიული გამარჯვებები, ვეტერანი თუ მოქმედი მორაგბეების, ქველმოქმედი ადამიანის, მზრუნველი მთავრობის და მშრომელი ხალხის ერთიანობის შედეგია. მადლობა „ქართუს“ ამ ყველაფრისთვის და ჩვენის მხრივ, ამ ქველმოქმედებას გამარჯვებებითა და თავდაუზოგავი ბრძოლით უნდა გავცეთ პასუხი“ – განაცხადა სიტყვით გამოსვლისას რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ**.

„ჩემი მოკრძალებული აზრით, ქართული რაგბის ბოლოდროინდელი წარმატებები, რასაც ახლა ვიმკით, 2009 წელს „დაითესა“, როდესაც ფონდმა „ქართუმ“ რაგბის მხარდაჭერის პროგრამა დაიწყო. ეს არ იყო მხოლოდ ნაკრების მხარდაჭერა და ის მოიცავდა მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი სარაგბო ბაზების მშენებლობას, რამაც სპორტის ამ სახეობაში ახალი თაობა მოიზიდა. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩართული იყო ამ პროექტში და რა თქმა უნდა მორაგბეებს, რადგან „ქართუსთვის“, ყველაზე დიდი მადლობა სწორედ ჩვენი გუნდების წარმატებებია.

სარაგბო ბაზების მესაკუთრე იურიდიულად რაგბის კავშირი გახდება, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფონდი ქართულ რაგბის მიატოვებს! ახლაც შენდება ზუგდიდის სარაგბო ბაზა და მომავალშიც ჩავერთვებით ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ასევე სასკოლო და ბავშვთა რაგბიში. დარწმუნებული ვარ წინ არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება გველის“ – აღნიშნა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ თავმჯდომარემ **ნიკოლოზ ჩხეტიანმა**.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, **თეა წულუკიანმა** უცხოელ სტუმრებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა:

„ბიძინა ივანიშვილი იყო პირველი, რომელმაც არცთუ მარტივ წლებში ირწმუნა ქართული რაგბის შესაძლებლობების და მის მიერვე დაარსებული საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით, უპრეცედენტო ინვესტიცია განახორციელა ქართულ რაგბიში. მას არ ჰქონდა ვალდებულება ერთი კონკრეტული სპორტის სახეობისთვის შეექმნა და შეენახა, მერე კი საკუთრებაში გადაეცა ეს ინფრასტრუქტურა და მადლობა ამ კეთილი ჟესტისთვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს.ეს არის ფონდი, რომელიც საქმის წამოწყების შემდეგ არსად ჩერდება და ჩვენ უკვე გვაქვს სამომავლო გეგმები როგორც ქართული რაგბის, ასევე სპორტის სხვა სახეობებისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ.

ემოციური და მნიშვნელოვანი წელიწადი გველის, რადგან ვემზადებით დიდი წარმატებებისთვის. გაგვიმართლა, რომ რაგბის კავშირს გამოუსწორებელი ოპტიმისტები ხელმძღვანელობენ, მაგრამ მარტო ოპტიმიზმით შედეგს ვერ მიაღწევ, მით უმეტეს სპორტში. გამარჯვება და წარმატება რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, თუმცა ჩვენ უპირველესად შრომას ვაფასებთ, რაც სპორტსმენისთვის ფიზიკური ძალისხმევა და სულის სიმტკიცეა. ჩვენ გვწამს, რომ ეს შრომა და ძალისხმევა შედეგს გამოიღებს და 2023 წელი ქართული რაგბისთვის დიდი გამარჯვებების წელი იქნება“.

მნიშვნელოვანია, რომ ფონდ „ქართუს“ მიერ აშენებული სარაგბო სტადიონები და საწვრთნელი ბაზები დღეს ყველა მსხვილ ქალაქს მოიცავს და ადგილობრივ ახალგაზრდებს რაგბიში ჩაბმის საშუალებას აძლევს:

**გორში (2 მოედანი 3000 მაყურებლით), ბათუმში (2 მოედანი 7500 მაყურებლით), ქუთაისში (4 მოედანი 7 ათასი მაყურებლით), ფოთში (2 მოედანი 3 ათასი მაყურებლით), თელავში (2 მოედანი 2000 მაყურებლით), რუსთავში (2 მოედანი 3000 მაყურებლით), ასპინძაში (1 მოედანი 550 მაყურებლით), მარტყოფში (2 მოედანი 500 მაყურებლით), თბილისში (შევარდენის ბაზა – 2 მოედანი 2000 მაყურებლით), თბილისში (ავჭალის ბაზა – 2 მოედანი 3500 მაყურებლით), თბილისში (დიღმის მასივის ბაზა – 2 მოედანი 750 მაყურებლით), თბილისში (დიდი დიღმის ბაზა 1700 მაყურებლით), თბილისში (ნუცუბიძის ბაზა 2000 მაყურებლით), თბილისში (ვარკეთილის ბაზა – 2 მოედანი)**

ფონდ „ქართუს“ და მთავრობის ძალისხმევით, სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარება „100 მოედნის“ პროგრამის ფარგლებში კვლავაც გრძელდება.




# ოლიმპიურ ტალღაზე

**საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში სტუმრად იმყოფებოდა ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში პეტრ მიკისკა, რომელსაც უმასპინძლა სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა.**

შეხვედრას ესწრებოდნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური.

დიალოგის დროს ისაუბრეს ოლიმპიური სპორტის აქტუალურ საკითხებზე, მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, მათ შორის - პარიზის 2024 წლის ოლიმპიადაზე. სტუმარი დაინტერესდა ქართველ სპორტსმენთა წარმატებებით, საოლიმპიადო გეგმებით და მიმდინარე ოლიმპიური პროგრამებით.

სეოკ-ის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ელჩს სტუმრობისთვის, მიაწოდა ინფორმაცია ჩვენი სპორტის ოლიმპიურ მიღწევებზე, პარიზის ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობაზე, წარმატებულ სპორტის სახეობებზე და სპორტსმენებზე, ასევე 2025 წელს ბაკურიანში გასამართავ ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე.

თავის მხრივ, ბატონმა მიკისკამ წარმატებები უსურვა ჩვენს სპორტსმენებს მომავალ მნიშვნელოვან ფორუმებზე.

# ორიენტირი - MVP ტიტული

**ესპანეთის ლიგა ენდესას 29-ე ტურში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფემ“ „ბრეოგანს“ უმასპინძლა, რომელიც იოლად, 85:67 დაამარცხა. კანარელები მთელი თამაშის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და მოგება არ გასჭირვებიათ.**

გიორგი შერმადინი მოედანზე საუკეთესო იყო. ქართველმა ცენტრმა 23 წუთში 20 ქულა, 8 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. გიორგიმ 10-დან 8 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 27-ს გაუტოლდა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელი იყო და ბუნებრივია, მატჩის MVP გახდა.

„ლენოვო ტენერიფე“ 20 მოგებით და 8 წაგებით სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა.

დავძენთ რომ, ჩვენი თანამემამულე კიდევ ერთხელ იბრძვის ესპანეთის ლიგა ენდესას სეზონის MVP ტიტულისთვის, რომელიც 2021 წელს უკვე მოიპოვა და გამოკითხვაში ჯერჯერობით მეორე ადგილზეა.



# მენელსაცხებლე დედათა კვირიაკე



**30 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმიდა მენელსაცხებელ დედათა კვირიაკეს ზეიმობს. ამ დღეს მოიხსენიება: მარიამ მაგდალინელი, მარიამ კლეოპა, სალომე იოანა, მართა, მარიამი, სუსანა, და სხვ. ასევე მენელსაცხებლე დედათა რიცხვში საქართველოს კეთილმსახური მეფე თამარი (1213 წ.) შედის.**

დღეს მცხეთის პატიოსანი ჯვრის აღმართების ხსენებაცაა, რომელიც აღდგომიდან მესამე კვირიაკეს აღინიშნება. სახარების თანახმად ყველა წმინდა დედა ემსახურებოდა უფალს. საგულისხმოა, რომ საღვთო კანონის თანახმად, დედებმა, განსვენების დღის დადგომამდე მაინც მოასწრეს მოემარაგებინათ ნელსაცხებელი, რათა შვიდეულის პირველსავე დღეს, განთიადისას მისულიყვნენ უფლის საფლავთან და ებრაული ჩვეულების თანახმად შეემუსრათ ნელსაცხებლებით...

ახლა, ცოტა რამ საქართველოს მნათობზე, ვისი ხსენებაცაა 14 მაისს, 31 იანვარს და 30 აპრილს, მის შესახებ უამრავი ლეგენდა და თქმულება დაწერილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც; თამარ მეფე თავისი მოღვაწეობისთვის მოციქულთა სწორ დედებს გაუტოლდა...

**გიული ლიპარტია**

# დალი მეგრელიშვილს



**ჩემო დალი! შენ ხომ ძალიან გიყვარდა სიცოცხლე, შენი საყვარელი საქმის კეთება, ყველანაირ სირთულეს ძლევდი. თავი სიზმარში მგონია თითქოს მჯერა, რომ კვლავ შენ ლამაზ თვალებს და მომღიმარ სახეს დავინახავ.**

**გულისტკივილით ვუთანაგრძნობ შენ ძმას ზოტოს, შვილებს მაიას და გოგიტას, შვილიშვილებს....**

**სანთელს დავანთებ და შენს ლამაზ სულს ღმერთს შევევედრები.**

**მაყვალა ტორონჯაძე.**

# ჩვენ ვიმსახურებთ კანდიდატის სტატუსს!

(მეორე გვერდიდან)

დედაქალაქის მერის თქმით, ტაქსი დაიშვება ავტობუსის ზოლში მხოლოდ იქ, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი გადაადგილდება სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულებით.

მთავრობის სხდომაზე კახა კალაძემ საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ დედაქალაქის მერია პირველ ეტაპზე, 160 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსის შესყიდვას გეგმავს. აღნიშნული ცვლილების მიზანი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა.

ავტობუსების შესყიდვის ბიუჯეტი, დაახლოებით, 245 მლნ ლარი იქნება.

**„წინასწარი შეფასებით, 160 ერთეული 18-მეტრიანი ავტობუსის შესყიდვის ჯამური ბიუჯეტი დღგ-ს ჩათვლით, დაახლოებით, 245 მლნ ლარი იქნება. ეს თანხა დაკორექტირდება ბაზრის კვლევის შედეგების მიხედვით. 18-მეტრიანი ავტობუსების მოწოდება დაგეგმილია ეტაპობრივად, 2024 წლის განმავლობაში. პირველი 50 ერთეული მოგვეწოდება საორიენტაციოდ, მომავალი წლის აპრილამდე, ხოლო დანარჩენის – 2024 წლის მეოთხე კვარტალში“.**

თბილისის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტობაზის პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი უკვე გამოცხადებულია. აღნიშნული ბაზა აუცილებელია 18-მეტრიანი ავტობუსების გამართული ექსპლუატაციისთვის.

დედაქალაქის მერმა ასევე განაცხადა, რომ თბილისის მერია საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციასთან ერთად, სპორტული მედიცინისა და დიაგნოსტიკის საპილოტე პროგრამის განხორციელებას იწყებს. აღნიშნული პროგრამა სპორტული ცენტრების სერვისით მოსარგებლე 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდების კომპლექსურ სამედიცინო შემოწმებას მოიცავს.

**„სპორტული მედიცინისა და დიაგნოსტიკის საპილოტე პროგრამა, პირველ ეტაპზე, თბილისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ სპორტულ ცენტრებში დაინერგება. ასოციაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის „გლდანი-ნაძალადევის და ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის“ სერვისით მოსარგებლე 500 მოზარდი სამედიცინო შემოწმებას გაივლის 26 აპრილიდან 5 ივნისამდე (მუხიანისა და ლილოს სპორტულ კომპლექსებში)“.დასასრულს, თბილისის მერმა საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი დამსახურებული თანამშრომელი, დავით ჩაკვეტაძე წარუდგინა, რომელიც შპს „თბილსერვის ჯგუფის“ გარეგანათების საექსპლუატაციო დეპარტამენტში მუშაობს.**

# მირდატ ქამადაძე ლევან ხაბეიშვილს უტევს!



**„ნაციონალური მოძრაობის“ აჭარის ორგანიზაციის წარმომადგენელი მირდატ ქამადაძე პარტიის თავმჯდომარეს ლევან ხაბეიშვილს ტყუილების გავრცელებაში ადანაშაულებს.**

როგორც ქამადაძე სოციალურ ქსელში წერს, თუ ხაბეიშვილი იმის დამადასტურებელ მტკიცებულებას არ წარადგენს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კონკრეტული წევრები პარტიის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, ის „უკანასკნელი მატყუარა“ იქნება.

**„ლევან ხაბეიშვილო, ამ ტყუილების წერას, რომ ვიღაცამ ენმ-ს აგინა, იქნებ მტკიცებულება დაგედო ჯერ. თუ არ დადებ მტკიცებულებას (სატელევიზიო კომენტარი, ფეისბუკ პოსტი, ბოლო ბოლო, მოწმესაც ჩაგითვლით), იცოდე, რომ ჩვეულებრივი, უკანასკნელი მატყუარა ხარ. დაიდოს მტკიცებულება, რომ ლევან გორგილაძე, როინ დვალი, ელიზა ეფაძე, შორენა აბაშიძე, პარტიის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ (პარტიას აგინებდნენ)!“** – წერს მირდატ ქამადაძე.

# ჟურნალისტები ევროკავშირის ინსტიტუტების წინააღმდეგ

**„ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ ანგარიშის თანახმად, ევროკავშირის ქვეყნებმა მეტი უნდა გააკეთონ, რათა ევროპაში ჟურნალისტების დაცვა უზრუნველყონ.** გამოცემა „პოლიტიკოს“ მიხედვით, „ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის“ მიერ გამოქვეყნებულ ახალ ანგარიშში აღნიშნულია, რომ უკანასკნელ წლებში ევროკავშირში შეიქმნა რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა, რათა ჟურნალისტების უსაფრთხოება ევროპაში უფრო დაცული იყოს.

**„რეფორმები პოზიტიურია ქაღალდზე, მაგრამ კითხვები არსებობს მათ ამოქმედებასთან დაკავშირებით“,** – აცხადებს „პოლიტიკოსთან“ საუბარში ანგარიშის ერთ-ერთი ავტორი ტომ გიბსონი.

ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ევროპელ ჟურნალისტებს უჭირთ ევროკავშირის ინსტიტუტებიდან ოფიციალური ინფორმაციის მოპოვება, რეპორტიორების ოფიციალურ მოთხოვნებზე პასუხები გაჭიანურებულია, ხშირად კი ჟურნალისტებს უარს ეუბნებიან. ამასთან დაკავშირებით „პოლიტიკო“ აღნიშნავს, რომ გამოცემას უკვე 547 დღეა, უარს ეუბნებიან ევროკომისიის პრეზიდენტთან, ურსულა ფონ დერ ლაიენთან ინტერვიუს ჩაწერაზე.

**თსუ-ს ეკონომიკური ფაკულტეტის 1969 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის**

# ვახტანგ (ომარი) აბულაძის

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

**თანაკურსელთა სახელით — ბადრი ბარკალაია.**

**გამოსვენება: დღეს, 27 აპრილს, 14 საათზე ცხვედაძის 56.**

# გიორგი მუმლაძეს 2000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა



**თბილისის საქალაქო სასამართლომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, გიორგი მუმლაძეს 2000-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. გიორგი მუმლაძის განცხადებით, სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკურია.**

ამასთან, გიორგი მუმლაძის ადვოკატები აღნიშნავენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს სამართალდარღვევის დასადასტურებლად სასამართლოში საკმარისი მტკიცებულებები არ ჰქონდათ წარმოდგენილი.

**შეგახსენებთ, შინაგან საქმეთა სამინისტრო გიორგი მუმლაძეს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ედავებოდა. პოლიციამ გიორგი მუმლაძე 7-8 მარტს გამართულ აქციაზე ადმინისტრაციული წესით დააკავა.**

# სოხუმში რუსეთის მოქალაქეებს იტაცებენ!

აფხაზური მედიასაშუალება AMPA-LIFE ინფორმაციას ავრცელებს, რომლის მიხედვითაც, სოხუმის დე ფაქტო პროკურატურამ რუსეთის მოქალაქეების, ლეონიდ შოკლერისა და ისმაილ შეიხის გატაცებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

**Telegram-ზე გავრცელებული ცნობის მიხედვით, აღნიშნული პიროვნებები სოხუმში, გამოსასყიდის მიღების მიზნით გაიტაცეს და სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში გადაიყვანეს. მასთან მიმართებით ადგილი ჰქონდა სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ ძალადობას. შოკლერი არაერთ სხვადასხვა მისამართზე გადაჰყავდათ, მანამ მისი დედისგან 5 000 დოლარის ოდენობის გამოსასყიდი არ მიიღეს, რის შემდეგაც ის გაათავისუფლეს. 19 აპრილს იქნა გატაცებული შოკლერის მეგობარი ისმაილ შეიხი, რომელიც მოტყუებით წაიყვანეს გალის რაიონის სოფელ ოქუმში. მასზეც სიცოცხლისთვის საშიში ძალადობა განხორციელდა, თუმცა მან თავის დაღწევა შეძლო თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ადგილიდან და მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობა“,** – წერს AMPA-LIFE.

დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი 6 პირი ცხელ კვალზე დააკავეს. გასაჯაროვდა ეჭვმიტანილთა ვინაობაც: არტურ კვეკვესკირი, ადგურ ხარჩილავა, ალიას ხარჩილავა, თემურ ალხორბა, ადგურ ავიძბა და ალან ლომია. როგორც AMPA-LIFE წერს, 25 აპრილს, სოხუმის „საქალაქო სასამართლომ“ ეჭვმიტანილებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.




**ქართული სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა დადასტურდა – ორგზის ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ექვსგზის ჩემპიონმა და მრავალგზის რეკორდსმენმა ლაშა ტალახაძემ, ახლა მეშვიდედ გვაზეიმა ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.**

როგორც ქართველ ძალოსანთა თაობების ღირსეულმა მემკვიდრემ, ახალი სიმაღლეების დაპყრობით განადიდა სამშობლოს სპორტული ავტორიტეტი, სპორტსა და ცხოვრებაში მისაბაძი გახდა ახალგაზრდებისთვის.

სამაგალითოა მისი დამოკიდებულება საერო და სასულიერო ცხოვრების ეროვნული მემკვიდრეობისადმი.

გვეამაყება, რომ მსოფლიოს გოლიათის, ყველაზე ძლიერი მამაკაცის სამშობლო საქართველოა. ლაშა პიროვნულად არის ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიული განვითარების საუკეთესო განსახიერება.

გილოცავთ, ჩვენო საამაყო რაინდო, ახალ გამარჯვებას, კიდევ ბევრი წარმატება მოგველოცოს ცხოვრების გრძელ გზაზე!

**გურამ საღარაძე,**

**ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს თავმჯდომარე, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. თბილისის საპატიო მოქალაქე**

## „უმაღლესი თავდადების ორდენი“ ქართველ მაშველს

**თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, სამოქალაქო უსაფრთხოების პოლკოვნიკს მამუკა სეფიაშვილს, რომელიც თურქეთის ქალაქებში – ადიამანსა და ანთაქიაში მომხდარი მიწისძვრის სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ ქართულ სამაშველო ჯგუფს ხელმძღვანელობდა, სპეციალური ჯილდო – „უმაღლესი თავდადების ორდენი“ გადასცა.**

ქალაქ ანკარაში, პრეზიდენტის სასახლეში, თურქეთის კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (AFAD) მიერ ორგანიზებულ სპეციალურ ღონისძიებაზე, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ ყველა ქვეყნის სამაშველო ჯგუფის ლიდერს სპეციალური ორდენი და მადლობის სიგელი გადასცა. პრეზიდენტმა ერდოღანმა სამაშველო ოპერაციაში ჩართულ მაშველებს გაწეული დახმარებისა და თავდადებისთვის მადლობა პირადად გადაუხადა.

**ქართული სამაშველო ჯგუფი თურქეთში საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით კატასტროფის პირველივე დღეს გაემგზავრა და ჯამში 200-მდე მაშველმა მისია 18 დღის განმავლობაში ორ ქალაქში შეასრულა.**



## დაუნის სინდრომით „დაავადებული“ „ბარბი“



**„ბარბის“ მწარმოებელმა კომპანია Mattel-მა ახალი თოჯინა წარადგინა, რომელიც დაუნის სინდრომის მქონე გოგოს განასახიერებს.** თოჯინა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების ეროვნულ საზოგადოებასთან (NDSS) მჭიდრო თანამშრომლობით შექმნეს. 2020 წელს კომპანიამ „ბარბის“ თოჯინების ახალი ხაზი შექმნა, რომელთაც სხვადასხვა დაავადება აქვთ.

## პორტოფინოში სელფის ხანგრძლივი გადაღება ჯარიმდება

**იტალიის საკურორტო ქალაქ პორტოფინოში ტურისტებს სელფის ხანგრძლივი გადაღების გამო დააჯარიმებენ. აკრძალვა საკურორტო ქალაქის ორ ლოკაციას შეეხება, ჯარიმის ოდენობა კი 275 ევრო იქნება.**

ამ მეთოდით საქალაქო სამსახურები „ფეხით მოსიარულეთა საცობებთან“ ბრძოლას გეგმავენ. პორტოფინოში 500-მდე ადამიანი ცხოვრობს, თუმცა, ზაფხულობით ქალაქში ათასობით ტურისტი ჩადის.



აკრძალვები გავრცელდება „ლოკაციებზე მოცდის გარეშე“, სადაც ტურისტების ჯგუფების გარდა საკრუიზო ლაინერების მგზავრებიც გროვდებიან. აკრძალვები დილიდან 18:00 საათამდე, მთელი ზაფხულის განმავლობაში იმოქმედებს.

## დეიმოსი - მარსის თანამგზავრი

**არაბთა გაერთიანებული საამიროების კოსმოსურმა აპარატმა, Al Amal-მა მარსის თანამგზავრის, დეიმოსის დეტალური ფოტო გადაიღო. ფოტო 100 კილომეტრის მანძილიდან არის გადაღებული.**

ფოტოების შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა უარყვეს თეორია იმის შესახებ, რომ დეიმოსი არის ასტეროიდი, რომელიც მარსის მიზიდულობის ძალამ მიიზიდა. ისევე, როგორც მარსის მეორე თანამგზავრი – ფობოსი, დეიმოსიც პლანეტასთან ერთდროულად წარმოიქმნა.

პირველად დეიმოსის ფოტოები NASA-ს კოსმოსურმა აპარატმა, „ვიკინგ 2“-მა 1977 წელს გადაიღო.




## ჰამბურგი ტერაქტს გადაურჩა

**გერმანიაში ტერაქტის მომზადების ბრალდებით სირიელი დააკავეს. გამოძიების ცნობით, 28 წლის მამაკაცი „შაჰიდის ქამრის“ გამოყენებით გეგმავდა თავდასხმას. ბრალდებული ჰამბურგში დააკავეს. მასთან ერთად დაკავებულია მისი ძმა, რომელიც დანაშაულის ხელშეწყობაშია ეჭვმიტანილი.**

გამოძიებას აქვს ინფორმაცია, რომ სირიელი მამაკაცი რამდენიმე კვირის განმავლობაში ინტერნეტით ყიდულობდა ასაფეთქებელ ნივთიერებებს, ხოლო მისი ძმა დანაშაულის გეგმას ადგენდა. კონკრეტულად რა იყო ტერორიზმში ეჭვმიტანილთა სამიზნე, არ სახელდება. სპეცოპერაციაში 250 სამართალდამცველი მონაწილეობდა. სამძებრო ოპერაციაში ჩართული იყო სპეციალური დანიშნულების ძალებიც.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოძუაშვილია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 მაისს

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5046; ევრო - 2.7618;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1237;
100 რუბლი - 3.0738; თურქული ლირა - 0.1289;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4733;
1000 სომხური დრამი - 6.4780

**ამინდი 27 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +27 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +5, | დღე +23 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +11, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +8, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე +12, | დღე +22 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge